



ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru



№217 (275) 23-30 აპრილი 2013 სახალხო მოძრაობა „სამებროლო“ ორბანი 30 თეთრი



ილია მეორე: “უფალმა დაგლოცოთ და გაბაჟიეროთ!” სახალხო მოძრაობა “სამებროლო” და ბაზილი “ილორი” სრულწილად საქართველოს უღოსბავნ ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ბზობა — საუფლო დღესასწაული

“ტყე ყველა ქვეყანაში ეროვნული სიმდიდრეა, მაგრამ ისეთ მითან ქვეყანაში, როგორც საქართველო, ტყე არა მარტო სიმდიდრე, მატერიალური ღირებულება, არამედ ისეთი საუნჯეა, რომელიც ინახავს ქვეყნის მრავალნაირ სასიცოცხლო საწყისს”, – წერს დიდი ბოტანიკოსი ნიკო კეცხოველი (ნ. კეცხოველი, “მცენარეული საფარი ერის საუნჯე”, გვ. 8).

საქართველოში ტყის ყადრი ძველი დროიდან იცოდნენ და იგი ასახული იყო სახელმწიფო კანონმდებლობაში.

მეფე ვახტანგ VI-ის კანონებში წერია: “ტყე ბალახი და წყალი სახელმწიფოსია”. მაგრამ ყოველივე ეს ხალხის კეთილდღეობისათვის საჭირო იყო და იმავე კანონში ეწერა: “სამი რამ არ დაეჭირება კაცსა: ტყე, ბალახი და წყალი”.

ამ წერილის მიზანია შესხენება რელიქტური და ენდემური მცენარის – ბზის და საუფლო დღესასწაულის – ბზობის. დიდმა ბოტანიკოსმა ნ. კეცხოველმა პირადად დააფიქსირა ბზა გასული საუკუნის 50-იან წლებში – მდინარე ტეხურის ხეობაში და შეიტანა 1961 წელს მის მიერ გამოცემულ ფლორალბოში “მცენარეული საფარი ერის საუნჯე”.

ბზის კორომ “ზზინს” და მდინარე ტეხურის ხეობას გასულ წლებში კიდევ ეღირსა გულშემატკვარი მცენარის თვალს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის კათედრის მცენარე-მუშაკის მარინე კორდანიას ხელმძღვანელობით მიეწყო 25-დღიანი ექსპედიცია ტეხურის აუზში.

გასული საუკუნის 50-იან წლებთან შედარებით სურათი არსებითად შეცვლილია. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი ბზა იხეხება ან განეხილია. ბზა ორდღობიანი მარადმწვანე მცენარეა, გვხვდება ბუჩქების ან დაბალი ხეების სახით. იგი შეიცავს 70-მდე სახეობას, გავრცელებულია ზომიერ, სუბტროპიკულ და ტროპიკულ ზონებში.

კავკასიაში გვხვდება ბზის ორი სახეობა: კოლხური და პირკანული (თალიში, ახერბაიჯანი).

კოლხური ბზა ბუჩქია, ან 8-10 მეტრი სიმაღლის ხეა. ცალკეული ექსემპლარი 18 მეტრსაც აღწევს, იზრდება ბარისა და მთის ტენიან ხეობებში დრმა კარბონატულ ნიადაგებზე, ქვიანსა და კლდოვან ადგილებში. მთის კალთებზე ქმნის კორომებს (ბზიანი), ფოთლოვან ტყეებში იზრდება ქვეტყედ. მთებში მისი გავრცელების არეალი 400-600 მეტრ სიმაღლემდე აღწევს ზღვის დონიდან.

საქართველოში შემორჩენილია ბზის 4 უცხოური სახეობა. მარადმწვანე ბზას ფართოდ იყენებენ დეკორატიულ მებაღეობაში, კარგად იტანს ყოველწლიურ გასხვლას და ვარჯის ფორმირებას, რგავენ ეულად, ჯგუფად ბორდიურად. ბზა ეულად დგომისას ნაყოფს 15 წლიდან იძლევა, ხოლო შეკრულ ხეობაში 40-60 წლიდან იზრდება ნელა, მერქანი მძიმეა, კარგად პრიადდება, იყენებენ სხვადასხვა ნაკეთობისათვის. ბზის ფოთლებისა და ტოტებისაგან ამზადებენ ვაიისფერ საღებავს, ქერქისა და ფოთლების ნაყენს

იყენებენ მედიცინაში, განსაკუთრებით ფოთლები შეიცავს ალკალიდ ბუქსინს, მის თესლში 37 პროცენტი ზეთია.

ვარაუდობენ, რომ უძველეს დროში მერქნის მღვრადობისა გამო საკმლის ხის, უთხოვარის ბზის მერქანი შუბის დასამზადებლად იყო გამოყენებული. ბზის მერქნის დამუშავების ტექნოლოგია დამახასიათებელია სოფელ სალხინოს მოსახლეობისათვის. ტრადიციას ახალგაზრდა თაობაც აგრძელებს. ამასვე მეტყველებს 1968 წლის ურნალ “მეგლის მეგობარი” №16-ის 46-ე გვერდზე გამოქვეყნებული მასალა, სადაც ლაპარაკი სალხინოს საშუალო სკოლის მოსწავლეებზე: “ჩვენი ეთნოგრაფიული სახელოსნობი”-ს სექციის გულმოდგინე ბავშვებმა თავისი საქმიანობის და ხელმარჯვეობის შედეგად თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს.

“აქვე ჭრიალებდა ხის ჭურჭლის დამამზადებელი ჩარხი სახეველი, რომელიც გეგეპტორის რაიონის სოფელ სალხინოს ნორჩ მხარეთმცოდნეებმა ჩამოიტანეს, ხის ხეწას დაუფლებულნი დინჯად ჩარხადნენ სანაყ ქვიჯას, ოსტატურად მუშაობდნენ ორნი – “მხეველი” და “ღვედის მომწევი”.

უძველეს დროში ბზის მერქანი კოლხ კაცს სასიცოცხლო პროდუქტის შემოტანის საშუალებად ჰქონდა გამოყენებული. ბზის მერქანი ექვივალენტური წონით იცვლებოდა მარლზე, რომლის დეფიციტი დიდად აწუხებდა სამეგრელოს და სვანეთს (ცნობილია გამოთქმა: “უმაროლოდ შეიდ წელს იყენე სვანებ”).

მდინარე ოჩხომურას მეშვეობით ხობიდან (სოფელი კურზუ) ბზის მერქნის გატანის შემთხვევასთანაა დაკავშირებული ხალხური მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენლის აწვანსვენებული გაიოზ ბერულავას, როგორც სახალხო მეურნალის მოღვაწეობა (სპეციალობით იყო ბიოლოგი-პედაგოგი, ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა – განსაკუთრებით ადამიანის ანატომიაზე).

გასული საუკუნის 70-იან წლებში, კონკრეტულ აუცილებელ შეხვედრისას მიამბო: “თურქეთიდან (ლაზისტანიდან) ჩამოსული ღაზები ოჩხომურის ხეობაში ბზის მერქანს ამზადებდნენ და გაქონდათ. ერთ წელს ნაადრევად დაზამორდა და ვეღარ მოახერხეს სამშობლოში დაბრუნება (თუმცა, სამშობლოში არ იყენენ?). ისინი მთელი ზამთარი ბაზუაჩემმა შეიფარა და კოლხურად უმასპინძლა. როცა მდიდრდნენ ბაზუამ განსამრჯელო არ გამოართვა, მათ კი, ამგვარი პატივისცემის საპასუხოდ ადამიანის ძელის მოტეხილობის განკურნებისთვის საჭირო მალამოს დამზადების საიდუმლოება ასწავლეს. განსწავლული ამ საიდუმლოებას ოჯახის ერთ მემკვიდრეს ასწავლიდა”. როცა გაიოზმა ჯერის მიხედვით ისწავლა მალამოს დამზადება, მაშინ იგი 40 ნაერთისაგან შედგებოდა. გ. ბერულავა, როგორც განათლებული პიროვნება – ბიოლოგი – თვალყურს ადევნებდა საფთაობა წამლების დინამიკას და შესაბამისად ხეწვდა მალამოს დამზადების ტექნოლოგიას. ბოლო გასული საუკუ-

ნის 60-70-იან წლებში გ. ბერულავასაგან დამზადებული მალამო 12 ნაერთისაგან შედგებოდა, აქედან 8 იყო მცენარეული, ხოლო 9 – აფთიაქში შექმნილი. ამ ოთხიდან ერთი – გველის შხამი – vi prakun – ყოველთვის დომინირებდა.

როგორც ვხედავთ, ბზის მერქნის საზღვარგარეთ გატანის ერთმა შემთხვევამ, არაპირდაპირი გზით, სრულიად სასიკეთო სამკურნალო ტრადიცია დაამკვიდრა. თქვენს დიდ საერთო ოჯახში – დედამიწაზე მღვრადი და დინამიურად ჩამოყალიბებული მრავალფეროვნება იყო, რომელსაც ადამიანი ჩარევით არღვევდა. დედამიწაზე არცერთი წერტილი და სულიერი არ არსებობს ზედმეტად. მათ ყველას გარკვეული ფუნქცია აქისრიათ, როგორც ადამიანის თითოეულ ორგანოს.

არ შეიძლება შეკითხვის ამგვარად დასმა: ჭიანჭველა უფრო საჭიროა თუ სპილო. ერთს რაც შეუძლია, ის მეორისათვის მიუწვდომელია. ამიტომაც საჭირო ადამიანმა – ბუნების ვიოგვიმმა – გონიერება გამოიჩინოს და მცენარეული საფარის მიმართ. მცენარე მხოლოდ კომერციული თვალსაზრისით გამოსაყენებლად არ უნდა ჩაითვალოს. ყველაზე დიდ თბურ ენერჯიას საკმლის ხე (ვაშლოვანის ნაკრძალს) გამოყოფს.

ამ რევიონში არქეოლოგიური გათხრები ადასტურებენ, რომ მისი მერქანი რკინის გამოდნობისას გამოიყენებოდა. ბზა, როგორც ნელა მზარდი ძლიერი მავარი მერქნის მქონეა. იგი საკმლის ხის შემდეგ მეორე ადგილზეა, რადგან სამეშედ გამოყენებისას დიდ თბურ ენერჯიას გამოყოფს, რასაც ღუმელი ერთ ზამთარსაც კი ვერ უძლებს.

სოფელ სალხინოში შეხვედრივარ ოჯახს (გვარ-სახელს შეგნებულად არ ვაკონკრეტებ), რომელსაც ბზის 6-8-მეტრიანი მორები ჰქონდა სამეშედ მოტანილი. მან განმარტა: “ამის ღუმელში სამეშედ გამოყენება არ შეიძლება, ერთ სეზონში ღუმელს მწკრივიდან გამოიყვანს, რის გამოც ბუხარში ვიყენებო”.

ბზა დიდ თბურ ენერჯიას რომ გამოყოფს, ვეთანხმები, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ამ პიროვნებამ არ იცის, რომ მსოფლიოში მდინარე ტეხურასა და აბაშის ანალოგი ბზიანი კორომი თითხე ჩამოსათვლელია.

ჩვენი მიზანია არსებული წყაროების მიხედვით შევეხოთ 12 საუფლისწულო დღესასწაულიდან ერთ-ერთ საუფლისწულო დღესასწაულს – ბზობას, როცა მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს უფლის უკანასკნელ მსვლელობას იერუსალიმში (2013 წელს ბზობა აღინიშნება 28 აპრილს).

ვიდრე იერუსალიმში შევიდოდა, იესომ თავის მოწაფეს უთხრა: “წარვედით და ბარა მაგას, რომელიც არს წინაშე თქვენსა და მევესეულად ჰყოფთ ვირი დაბმული და კვიცი მისთანა აღხსენით და მომგვარეთ”.

ეს ყოველივე გაკეთდა იმისათვის, რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველის მიერ თქმული: “არქუათ ასულსა სიონისასა, ამა ესერა მეუფე შენის მოვალს

შენდა მშვიდი და ხე ზის იგი ვირს”-ო.

სახეღარზე ამხედრებულ მაცხოვარს ხალხი დიდი სიხარულით შეეგება: ზოგი თავის სამოსელს უგებდა, ზოგიც პალმის ტოტებს. თან შესძახოდნენ: “ოსანა ძესა დავითისა, კურთხეულ არს სახელითა უფლისათა, ოსანა! რომელი ხართ მალათა შინა”.

მიუხედავად ასეთი შეხვედრისა, იესო მინც სწუხდა. მან იცოდა, რომ ეს ხალხი ქვეყნიურ მეუფესა და მბრძანებელს ხედავდა მასში, რომელიც რომაელთა ბატონობისაგან იხსნიდა და განათავისუფლებდა.

იესოს პირველი შესვლისას იერუსალიმში მან იხილა, რომ ეკლესიებში სასულიერო პირებს რელიგიასთან შეუსაბამო უღირსი საქმე ჰქონდათ განადგობილი – ვაჭრები და წმინდა ადგილი განწმინდა. აღნიშნულის გამო მართლმადიდებელი ეკლესია ამ დღეს აღნიშნავს როგორც საუფლისწულო დღესასწაულს – ბზობას.

მეგრულში არის ასეთი გამოთქმა: “ი რე ბაი რე ბაიაში სწორი თანაფა რე”, ე.ი. “ბზობის კვირისთავი აღდგომაა”. ფაქტიურად ეს ყოველწლიურად ასეა.

ბზობის დღესასწაულის კვირისთავი აღდგომაა და იგი კვირა დღეს ემთხვევა, რასაც მართლმადიდებელი ეკლესია 2013 წელს აღნიშნავს 28 აპრილს “ბზობას”, ხოლო 5 მაისს – “აღდგომას”.

ზემოთ აღნიშნა, რომ იესო ქრისტეს იერუსალიმში პირველ-შესვლისას პალმის რტოებს უფენდნენ. პალმის ყვავილი წვრილია და ყვითელი. ასეთივე მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე – ბაიას ყვავილიც.

ბაია ლექსიონის მიხედვით თვალის გუგას, ხოლო მეგრულში – ჩვილ ყრმას ნიშნავს. რაც შეეხება სარიტუალოდ გამოყენებულ ბზის ყვავილს, ისიც ყვითელია, წვრილი ფოთლის უბეში ზის და სურნელოვანია. სავარაუდო და სარწმუნოა, რომ პალმის რტო ბზით ამ ფერების გამო შეიცვალა.

გონიერი მიდგომა სჭირდება ბზის გამოყენებას, კოლხური ბზა ბუნების ცოცხალი მემბრიანეა, იგი მოწმეა საქართველოს და მთლიანად კავკასიის ბუნებრივი ცვალებადობის. იგი ძველია.

“გამოაკლით ქართულ ბუნებას ქართველი ძეგლები და თქვენ ნახავთ, ეს უმდიდრესი ბუნება რა საშინლად გადარბდება”.

მწერალ ლევან გოთუას ამ პატრიოტული გრძნობით აღსავსე ნათქვამს ზედმეტი განმარტება არ სჭირდება. მარტვილის რაიონის სოფელ ინხურში 2010 წელს აღმოჩენილია დინოზავრის ნაკვალევი, რომელიც უპირველესია კავკასიაში.

უკვე მერამდენე წელია დაბეჯითებით აღნიშნავთ, რომ საჭიროა მდინარე აბაშის ხეობის სოფელ ინხურთან მის სათავემდე ნაკრძალად გამოცხადება, რაც საქართველოში ბზის კორომების დაცვისა და შენარჩუნების მყარი გარანტია იქნება.

გაშა მორბოშია, საქართველოს დამსახურებული აგრონომი, მარტვილი

ლეონ ბოთუა – სამოგლო უზომო სიყვარულისთვის დასჯილი



ჩვენი გაზეთის ამ ნომერში ბატონი ლეონის ოჯახს შეგახვედრებთ – მეუღლეს, ქალბატონ ციცოს და ქალიშვილს, ლელას. საუბარს კი მწერალ ლეონ ბოთუასა და ექიმ ციცო აღხაზიშვილის სიყვარულის ამბით დაიწყებთ.

ძალბატონი ციცო: – 1950-იანი წლების ბოლო იყო. ვმუშაობდი მწერალთა პოლიკლინიკაში, რომელიც მწერალთა კავშირის შენობის პირველ სართულზე მდებარეობდა. მწერლებს საღვინოთი ჰქონდათ ჩვენი პოლიკლინიკა – ხშირად ჩამოდიოდნენ, საუბრობდნენ, ერთმანეთს ახრებდნენ უხიარულებდნენ. ყველაზე მეტად ვახლოვდებოდი გიორგი ლეონიძესთან, არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, განსაკუთრებულად მიყვარდა; ბატონი კონსტანტინე გამსახურდია გულგრილად არასდროს ჩაუვლიდა ჩვენს ფანჯრებს – აუცილებლად გამოგველაპარაკებოდა ხოლმე; გერონტი ქიქოძის გაცნობამ კი უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე; ლეონიც ხშირად გვსტუმრობდა პოლიკლინიკის ექიმებს. აღფრთოვანებული ვიყავი მისი ნაწარმოებებით. ლეონი გადასახლებიდან 1955 წელს ჩამოვიდა, ჩემზე 22 წლით უფროსი იყო. ხელი რომ მოვაწერეთ, მე 33 წლის ვიყავი, ლეონი – 55 წლის. ფაქტობრივად, მწერლებმა გადაწყვიტეს ჩვენი ამბავი – ძალიან კეთილგანწყობილი იყვნენ ჩემდამი და იმაზეც ზრუნავდნენ, “მათი ექიმი ციცო” ვის გააყოლოდა ცოლად (იცინის).

მახსოვს, მწერალი დემნა შენგელაია მოვიდა ჩემთან და ლეონზე დამიწყო ლაპარაკი.

– კი, მაგრამ მე არაფერს მეკითხებით-მეთქი? – უთხარა.

– ქალებს ვინ ეკითხებათ! – გადაჭრით მიპასუხა.

მწერლებმა ძალიან მონდომეს, ჩვენი ურთიერთობაც გაიბა და მალევე გადაწყდა კიდევ შეუღლება. რომ გავთხოვდი, მახსოვს, კარგა ხანს თქვენობით ვლაპარაკებოდი... ერთხელ ლეონმა ლექსი დამიწერა:

*“ვიყავ ქალწული, ფრთოსანი,
გადამეკიდა მგოსანი,
ვიცინი, აღარ ვტირებარ,
მძინარე მანდილოსანი...
მი შეგლეო, დამაკეციხეთ
“შეზავრული კრიალოსანი”*

– ლეონის “შეზავრულ კრიალოსანს” კეთილშობილი ხოლმე და რამდენჯერმე ჩამინებია კითხვისას (იცინის).

– არ შეგაშინათ ბატონი ლეონის წარსულმა? – საბჭოთა ხელისუფლებისთვის არასასურველი ადამიანი იყო, კატორღამოვლილი...

– არავითარი შიში არ მქონია, მიუხედავად იმისა, რომ რაღაცნაირად მაინც შეზღუდული იყო ლეონი. მაგალითად, დიდი კრიტიკის ბუნს უდენტი სადმე, წვეულებასზე თუ შეხვედრებოდა, აუცილებლად მეტყვოდა ხოლმე, ხომ გენიალურია

ლეონი! მაგრამ მწერალთა კავშირის სხვაგვარად რომ გამოვიდოდა, ლეონს არასდროს ახსენებდა. მწერალთა ჩამონათვალშიც კი არაფერი ახსენებდა ლეონს.

– რა ცხოვრებას დაგიბრდათ ლეონ ბოთუა 22 წლით უმცროს მეუღლეს?

– საინტერესოს, რადგან თვითონ ლეონი იყო ძალიან საინტერესო პიროვნება. სადაც გაივლიდით, მის ირგვლივ იმწამს შეიკრიბებოდა ხალხი. განსაკუთრებით, გლეხებთან უყვარდა ურთიერთობა. თბილისიდან მცხეთისკენ რომ მივდიოდით, გზად აუცილებლად გააჩერებდა ხოლმე მანქანას და ხალხს გამოეღობა-პარაკებოდა, მათ ნათქვამს იწერდა, თუნდაც, ცალკეულ სიტყვებს. ძალიან უყვარდა წყაროს წყალი და ყველა წყაროსთან გვაჩერებდა. აღფრთოვანებული იყო თავისი სამშობლოთი და მასზე უზომოდ გახლდათ შეყვარებული.

– ბატონ ლეონს ძალიან უყვარდა მოგზაურობა, ექსპედიციებშიც ხშირად დადიოდა. თქვენ რითი იყავით მისი ცხოვრების თანამონაწილე?

– თანამონაწილე? ჩვენი შეუღლების შემდეგ ლეონი ექსპედიციებში აღარ დადიოდა. მხოლოდ სამოგლოდ თუ წავიდოდით. ისე კი, რა წიგნზეც მუშაობდა ხოლმე, იმ წიგნთან დაკავშირებულ ლიტერატურას მეც ყოველთვის ვკითხულობდით, საქმის კურსში რომ ყოფილიყავი. სხვათა შორის, ყოველთვის

სურდა, წერის პროცესში კაბინეტში, მის გვერდით ვმჯდარიყავი. ხანდახან მის ნაწერებსაც ვამრავლებდი ხოლმე – რამდენიმე ეგზემპლარად ვუბეჭდავდი. ესეც მხოლოდ სიმბოლური დახმარება იყო – მინდოდა, მისი შემოქმედების, შრომის თანაზიარი ვყოფილიყავი. მეცინებოდა, წერის მომენტში რომ დამეკითხებოდა, ეს სიტყვა ასეა თუ ისე? სწორად რომ ვუპასუხებდი, გაოცებული შემეჩვენებოდა, – ენას კარგად შეიგრძნობო... მუდამ მსხედ იყო, თუმცა განსაკუთრებულად არ ვგრჯიშობოდა. არმაზში ჩვენი სახლიდან, მტკვრის პირას იყო ჩასახლდები და ლეონი ყოველთვის ჩადიოდა იქ, ბანაობდა კიდევ მტკვარში. ხშირად გვსტუმრობდა გურამ თიანეთს. მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, ძალიან მეგობრობდნენ. გურამი თითქოს საკუთარ ახალგაზრდობას ახსენებდა – ისიც ხომ მთამსვლელი იყო! მტკვრის მეორე ნაპირას გადავიდოდნენ ხოლმე, განმარტოვდებოდნენ და ლაპარაკობდნენ. ლეონის შესანიშნავი ფორტეპიო შემოგვრჩა, გურამის გადაღებული. ძალიან განვიცადეთ გურამის ტრაგიკული დაღუპვა – ხომ იცით, სვანეთში, შხარადან დაშვებისას დაიღუპა! ჩვენი სახლის პირაპირა, მტკვრის მეორე ნაპირზე მთა იყო. სახლის აივნებიდან, იმ მთამდე ლეონი დაკიდული ხიდის გაკეთებას აპირებდა. უნდოდა, მთის გამოქვაბულში წიგნთსაცავი მოეწყო, მაგრამ არ დასცალდა...

– ბატონი ლეონის თვისებებიდან რას გამოარჩევთ, როგორი იყო?

– კაცთმოყვარეობით გამოირჩეოდა... მიუხედავად იმისა, რომ ამდენი უბედურება გამოიარა. მაინც სჯეროდა ადამიანების და ძალიან უყვარდა. არც მახსოვს, ვინმე გაეკიცხა. ერთადერთხელ გამოვიდა წყობიდან, გამწვარდა, მის გამსამართლებელ ერთ-ერთ ჯალათს შემთხვევით რომ გადაუყარა ქუჩაში. გააკიდებია, – მინდოდა, დამესწროლო, – მაგრამ მალევე მოუთოკავს თავი.

– თქვენთან უხსენებია იმ ადამიანების გვარები, ვინც სამშობლოს დაღატი დასწამა და გაასამართლა?

– რუხაძე, რაფაეა... მიაბო, დაკითხვისას როგორ ურტყამდნენ, სცემდნენ, კიბიდან აგდებდნენ და საკუთარი სისხლით აწერინებდნენ ფურცელზე რაღაცებს. ნეკიც კი ჩაუშვებოდა... მხოლოდ და მხოლოდ იმ-იტომ, რომ ძალიან უყვარდა სამშობლო.

– წარსულზე, გადასახლებაში გატარე-

ბულ წლებზე გიამბობდით?

– იმ წლებზე ლაპარაკი არ უყვარდა. ხანდახან თუ მიაბობდა ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკში პატიმრების აჯანყებაზე, რა დიდ პატივს სცემდნენ პატიმრები, ბრძენკაცად რომ მიანდით და საგაფიცვო ტექსტების, მოწოდებების დაწერაში დახმარებას ყოველთვის მას სთხოვდნენ. განსაკუთრებით თბილად იხსენებდა ახალგაზრდა კაცს, იგორ დობროშტანს, რომელიც საგაფიცვო კომიტეტს ჩაუდგა სათავეში... არც “გმირთა ვარამის” შესახებ ვიყვებოდა. გადასახლებაში მხოლოდ პირველი და მეორე ნაწილი დაწერა, მაგრამ მესამე და მეოთხე ნაწილი ჩვენი თანაცხოვრების წლებში შეიქმნა, ჩემ თვალწინ – არმაზის სახლი დასრულებული არ გვექონდა, ერთ ოთახში ცხოვრობდით და სწორედ იქ წერდა. ერთხელ, წერის დროს, შევნიშნე, ცრემლები ჩამოსდიოდა. – რა მოგივიდა, ლეონ-მეთქი? – ვკითხე. – ზაზა (ნაწარმოების პერსონაჟი. – ავტ.) ჩამვივარდა ორ-მოში და არ ვიცო, როგორ ამოვიყვანო. – სველიანად მიპასუხა (იცინის)... მერე ლელა გაჩნდა და ორივეს ყურადღება მისკენ გადავიდა. ლეონს თევზაობა უყვარდა და ჭიკაძეებს ლელა უგროვებდა ხოლმე.

ლელა ბოთუა: – ხშირად დაგვიავდი მტკვარზე და ცურვას მასწავლიდა. ჭადრაკის თამაშშიც მაშინ მასწავლა. ძალიან ბუნდური, კმაყოფილი და ამაყი იყო, როცა “უზებოდი”. უჭმელი ბავშვი ვიყავი. დილაობით დედა წიწიბურას რომ გააკეთებდა და თევზით დაგვივამადა, მამა კალთაში ჩამისვამდა, წიწიბურისგან კაცის სახეს დახატავდა და ვითომ მეჯობებოდა, ვინ უფრო სწრაფად შეჭამს სახის ნაწილებსო. რასაკვირველია, ვიმარჯვებდი – მე მოგებოთ ვხარობოდი, მამა კი იმით, რომ საჭმელი მაჭამა... მახსოვს, ხშირად მიაბობდა ზღაპრებს. თვითონ თხზავდა. მე კი ძალიან მიყვარდა ის ზღაპრები, ამიტომ დილით, გაღვიძების-თანვე ცხვირში ჩავაფრინებდით ხოლმე მძინარეს და ვაჯანჯღარებდი, – გაიღვიძე, ზღაპარი მომიყვები-მეთქი. არადა, მამა გვიანობამდე მუშაობდა და დილით ჩემსავით ადრინად ვერ იღვიძებდა, მაგრამ ვინ ახარებდა (იცინის)! “ტომ სთიერის თავგადასავალი” რომ წამიკითხეს, გადავწყვიტე, ტომის მსგავსად მეც შეპოვა განძი. არც ვაცოვ, არც ვაცხელე და, სახლის წინ დავიწყე თხრა. მამა გაიფიქრა, გამოვივლიდა და დედას ეტყოდა: ამან ასე თუ განაგრძო, საძირკვლამდე ჩავა, დაანგრეს ამ სახლსო (იცინის). მახსოვს იოსებ ნონეშვილის სტუმრობა. ვიდრე სუფრა გაიშლებოდა, მტკვარზე ჩავიდნენ, იხვების მონადირეობა უნდოდათ. საგარაუდოდ, გვიანი შემოდგომა იყო, რადგან იხვების გადაფურცა სწორედ მაგ პერიოდშია. ნონეშვილს თოვლისთვის არც დაუცვია, იხვს ქვა ესროლა და ჩამოაგდო კიდევ. ჩვენმა ძაღლმა ამოიყვანა და აღმოჩნდა, იხვს მხოლოდ ფრთა მოსტეხოდა. ეს რომ შევნიშნე, იხვს აღარაფერი მივაკარე – თურმანისძის ძალიანოთი დაუწყე მკურნალობა. გაგივინენ, ნანადირევი წავგართვაო... ხუჭუჭი თმა მქონდა და დედა ძლივს მვარცხნიდა. თუ უჭმელობის გამო გავაბრაზებდი, ორიგინალურად მსჯიდა – თმას მჭრიდა. არადა, მამას ჩემი ხუჭუჭა გრძელი თმა უყვარდა და დედას ამის გამო საყვედურებოდა ხოლმე. თუ მამა თბილისში იყო და დედა დასჯის ამ უკიდურეს ზომას მიმართავდა, გაბრაზებული ვემუქმებოდი, ჩამოვა მამა, ყველაფერს ვეტყვი და ნახე, რას გიზამს-მეთქი. ხანდახან მამაც მიბრაზდებოდა ხოლმე, ოღონდ ზუსტად არ მახსოვს, რისთვის. ალბათ, ისიც უჭმელობისთვის. მისი დასჯის მეთოდი სერვანდის გვერდით, კუთხეში დაყენება იყო – ჩავიცვქებოდი კედელთან, სერვანდის მთელი ძალით მივაბეჭენდი ფეხებს და ნელ-ნელა ვწვედი, ადგილი რომ გამეფართოებინა. ისე აზრიადებოდა ჭურჭელი, სულ რომ არ დაღვეილიყო, სასწრაფოდ გამომიყვანდა ხოლმე... ბევრ თოჯინას მწუქნიდა, მე კი ყველას ვატრეპებდი და ერთად ვყრიდი. გადახედავდა ხოლმე მამა და, – ვიეტნამში ვართო, – იტყოდა (იმხანად ვიეტნამელების გაჭირვების თემა იყო აქტუალური და

ტელევიზიით ხშირად უჩვენებდნენ გაძვალტყავებულ, შიშველ ვიეტნამელ ბავშვებს)... მამა რომ გარდაიცვალა, 6 წლის ვიყავი. კარგად მახსოვს, ცუდად რომ გახდა, (ინსულტი დაემართა და ძალიან ცოტა ხანს იცოცხლა), სანახავად შემეყვანეს და მამა ატირდა. სასწრაფოდ გამომიყვანეს, მაგრამ აშკარად ჩამესმა, რომ დამიძახა... იქ აღარ გამანერგს და ბუბიასთან ერთად, არმაზიან თბილისში, დედასთან, ამ სახლში ჩამომიყვანეს. მერე, ერთ დღეს შემთხვევით გახეთ “კომუნისტში” ნეკროლოგი წავიკითხე (კითხვა ვიცოდი) და საშინელი ამბავი ავტყეხე: მამა მოკვდა და რატომ მატყუებთ-მეთქი?! ვითომ დამამშვიდეს, მაგრამ არ მოვტყუვდი. სახატავი რვეულის ფურცელზე დაეწერე წერილი: “თქვენ მე მატყუებთ, ვიცი, რომ მამა მოკვდა. მე თქვენ არაფერი არ მინდევხართ. მე მინდა, მარტო მამიკო და იმასთან მივიღიარო”. წერილი გახდასხე დაგეტოვო, თვითონ საძინებელში, საწოლის ქვეშ შევკეციე და დამეძინა. საშინელება დატრიალებულია. მთელი უბანი მეძებდა, ბოლოს კი შემთხვევით ბუბიამ მიპოვა საწოლის ქვეშ... დღემდე სულ ვგრძნობ მამას სიახლოვეს, სულ ჩემთან ერთად არის...

ძალბატონი ციცო: – ლეონის სიკვდილის შემდეგ მუდამ არსებობს ჩვენ შორის უხილავი კავშირი. მაშინაც, ტომეულების გამოსაცემად ტექნიკურ მხარეს რომ ვაგვარებდი, მერეც, სხვადასხვა გამოცემაში გაბნეულ მის პუბლიცისტურ ნაწერებს თავი რომ მოუყარე და გამოვეცი, მერეც, ახალგაზრდებისთვის შესანიშნავი საკითხავი – “შეზავრული კრიალოსანი” და პუბლიცისტიკა რომ გავაერთიანე და გამოცემლობას ჩავაბრე დასაბეჭდად. სულიერად არასდროს მივეტოვებოდი. სამწუხაროდ, 1980-იანი წლების ბოლოს ისე აირია ქვეყანა, იმ წიგნის გამოსაცემად აღარაფერს სცხვლოდა. იმ წიგნს კი არა და, აღარც არაფერს გამოსცემდნენ დიდი ხნის განმედილობაში. ძალიან გახარებული ვარ, თქვენ რომ გამოსცემთ ლეონის შემოქმედებას. წინა გამოცემებთანაც ძალიან გავგახარეთ და ეს ტომეული ხომ განსაკუთრებულად მომწონს. თანაც, როგორი ხელმისაწვდომია! შრიფტიც საუკეთესო შეგიჩვენიათ. მთავარია, ხალხმა წაიკითხოს.

ლელა: – ამას წინათ, მამას მეგობარი, ჯუმბერ ჯიშარიანი მეუბნებოდა, მამაშენმა თავისი სრული შემოქმედება, პიესების ჩათვლით, რომ გაამზადა, 10 ტომი გამოვიდა. იმჟამინდელი 10 ტომი ალბათ თქვენი შრიფტით 20 ტომს დაიკავებდა. ადრე ძალიან ხშირად და დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა მამას ნაწარმოებები. ეგ კი არა, ჯუმბერი იხსენებდა, მარჯანიშვილის თეატრში ვებტანე ტაბლიაშვილმა ლეონის “მეფე ვახტანგ” რომ დადგა, სპექტაკლებზე საოცრება ხდებოდა – მაყურებლის ტაში ლამის მთელ “პლენ-ანოვს” ესმოდა. მამას სიცოცხლეში დაიდგა პიესა “ადამიანების”, სადაც დავით აღმაშენებლის როლს ყორა შავგულიძე ასრულებდა. ესეც გასაოცარი სპექტაკლი გამოსულა. “გმირთა ვარამი” კი მისი სიკვდილის შემდეგ დადგა არჩილ ჩხარტიშვილმა და აღუქსანდრეს როლში თენგიზ არჩვაძე ათამაშა. ურიგო არც დღეს იქნებოდა მამას პიესების დადგმა. ურიგო კი არა, ძალიან აქტუალურიც იქნება.

– ბატონი ლეონის დაკრძალვა არ-მაზში, სახლის ეზოში, მისი სურვილი იყო?

ძალბატონი ციცო: – არა. ლეონთან სიკვდილზე არასდროს მისაუბრია. არ-მაზში დასაფლავება მისმა ნათესავებმა გადაწყვიტეს. ჯერ მთაწმინდის პანთეონი უნდოდათ, მაგრამ იმჟამინდელმა მთავრობამ დიდუბის პანთეონი შემოგვთავაზა, ამიტომ ნათესავებმა არმაზი ამჯობინეს. შემდეგ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ნებართვითა და ლოცვა-კურთხევით გადმოვასვენეთ სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში.

ლელა: – მამა მცხეთის წმინდა მიწაში ასვენია. ამაზე საუკეთესო რა უნდა იყოს!

თურქეთში პრეზიდენტის დაშავების შესახებ ოფიციალური ვერსია დიდ ეჭვს ბაღებს

მართლაც ეჭვქვეშ დგება ოფიციალური ინფორმაცია თურქეთში მომხდარი ინციდენტის შესახებ, როდესაც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ველოსიპედით სეირნობისას ტრაილერს შეეჯახა. ამის შესახებ უკვე ჩნდება ინფორმაციები ინტერნეტსაიტებზე.

“თურქეთი, პოლონეთი... უპასუხო კითხვები... ვინ არის პასუხისმგებელი ქვეყანაში?”

– შაბათს, 6 აპრილს შეხვდა ერდოღანს სტამბოლში და ქართველებს ბურსაში;

– კვირას, 7 აპრილს ანტალიაში (რა უნდოდა ანტალიაში) ველოსიპედით დაშავდა;

– კვირა დამეს გადმოიყვანეს სტამბოლში ამერიკულ ჰოსპიტალში და ოპერაცია დამე ჩაუტარეს, “მრავალსაათიანი ანესთეზიით” რკინის ნაწილების ჩასმით და 20 ნაკერით, ანუ სერიოზული ოპერაცია...

– სამშაბათს 9-ში შეადგეს სადილზე გიულთან, როცა ეს სურათი გადაღებული... პრესსამსახური იბახის, რომ ორი დღე იწვა საავადმყოფოში, ანუ სამშაბათსაც უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ საავადმყოფოში??? და იმ ნაოპერაციებზე ხელს თავისუფლად ართმევს გიულს??? და პოლონეთის კადრები კიდევ უფრო საოცარი...

საკვირველია, რომ თურქული მხრიდან არაერთი განცხადება არ გაკეთებულა??? უცხო ქვეყნის პრეზიდენტს ოპერაციას უტარებენ, თან ხანგრძლივი ანესთეზიის ქვეშ (პრეზიდენტის ადმინისტრაციის სიტყვებით) და იმის შესახებ, თუ ვინ უტარებს ოპერაციას და როდის თურქული მხრიდან სინემა??? ხომ საკითხავია პასუხისმგებლობა, რამე რომ მოხდარიყო ვის გეოსტრატეგია??? რაც დღეები გადის კითხვები მეტი გროვდება და პასუხები კი უფრო და უფრო საეჭვო ხდის თვით ამ ოფიციალურ ვერსიას და მონაყოლს... არაფერი რომ ვთქვათ, მისივე პოლიტიკურ გუნდის მათთვის ჩვეულ თაღლითურ განცხადებებზე, რომლებიც გვიმტკიცებენ, სააკაშვილს არაჩვეულებრივი გამოჯანსაღების თვისებები ჰქონიაო???

ეს კითხვები ანეკდოტური არაა. აქ ლაპარაკია ჯერ კიდევ პრეზიდენტზე, რომელიც უცხო ქვეყანაში ავარიაში ან სხვა გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდა, ისე რომ მოსახლეობას არ ამცნეს ეს ვითარება... ანესთეზიის მუდამ თან ახლავს გარკვეული საფრთხეები და ნორმალურ ქვეყნებში ასეთ ვითარებაში ოფიციალური განცხადება კეთდება მაშინვე და ზომები მიღებულიც უნდა იყოს იმის

შესახებ, თუ ვინ ასრულებს მოვალეობას ჯერ ერთი ანესთეზიის დროს და შემდეგ კი იმ შემთხვევაში, რამე რომ მოუვიდეს...

ბოლოს და ბოლოს სხვა თუ არაფერი ის არის მთავარსარდალი, ომის გამოცხადება და ქვეყნის დაცვა მას ევალება (ეს ხომ კარგად გამოცხადეთ საკუთარ თავზე თუნდაც 2008 წლის აგვისტოში!! სააკაშვილის გადაშენებაზე ბევრს არ დასწევდებოდა გული, მაგრამ, თუ სახელმწიფოდ მივიხსნით თავს, მაშინ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ სახელმწიფოს თავისი კონსტიტუციური მოთხოვნები გააჩნია, რომლის დაცვა ევალებათ, მათ შორის, თუნდაც შეურაცხადი პრეზიდენტისათვის – სავალდებულოა... ასეთი უპასუხისმგებლო მიდგომა თავისი გარემოცვის (ისიც არ ვიცით ვინ ახლდა თან ანტალიაში და ვინ მიიღო პირველივე გადაწყვეტილება ოპერაციის შესახებ) და შემდგომ უკვე თვით პრეზიდენტის ქვეყნის და თავისი მოვალეობების მიმართ წარმოადგენს მიუღებელ გულგრილობას და გარკვეულ წილად, საფრთხესაც მოიცავს ქვეყნისთვის!

“ალბათ, მთავრობას უნდა ჰქონდეს უფლება მიმართოს ოფიციალურად თურქეთის მხარეს და მოითხოვოს სრული

ინფორმაცია მომხდარ ინციდენტზე, როგორც ოპერაციის დეტალებზე...”, – წერენ “Facebook”-ის მომხმარებლები.

8 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ გვერდზე “Facebook”-ში გაორცვლდა ინფორმაცია, რომელიც მოგვიანებით პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ დაადასტურა:

“თურქეთში ვიზიტის ფარგლებში 6 აპრილს შედგა საქართველოს პრეზიდენტის მოლაპარაკება და სადილი თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯეფ თაიფ ერდოღანთან. მომდევნო დღეს, ველოსიპედით ყოველდღიური ვარჯიშის დროს მიხეილ სააკაშვილი დაშავდა. სტამბოლის საავადმყოფოში გამოკვლევისას მას დაუდგინდა მხრის სამმაგი მოტეხილობა. პრეზიდენტს ამავე საავადმყოფოში ჩაუტარდა ოპერაცია.

შეხვედრები, მათ შორის, შეხვედრა და სადილი თურქეთის პრეზიდენტთან, რომლებიც ორშაბათს იყო დაგეგმილი, გაიმართება სამშაბათს. აღნიშნული შეხვედრების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი დატოვებს თურქეთს”, – აღნიშნული იყო ოფიციალურ განცხადებაში.

ზაურ ბახარია

საკრალური და “რეპენერაციული”

ძალიან მინდა, რომ დღევანდელ “პროვოკაციაში” ბევრი თემა მოვიცვა, მაგრამ სააკაშვილის “ველოინციდენტის” ამბავი ყველაფერს ფარავს – უფრო ზუსტად, ეს და მასთან დაკავშირებული ამბები: ჩვენი საყვარელი პრეზიდენტის გადარჩენით გამოწვეული სიხარულით დაწვებული და ამ “უცნაურ” ფაქტზე გაკეთებული მრავალრიცხოვანი კომენტარით თუ ჭორით დასრულდება.

მაგრამ დაწყებით, მინდა მე-9 არხის მიერ გაშვებული პირდაპირი რეპორტაჟით დავიწყო: კარგია, ძალიან კარგია, რომ ქართულ ტელეარხს აქვს საშუალება, “ცხელ კვალზე” მიაღწიოს კორესპონდენტი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, მაგრამ იმან (“ჟურნალისტმა”) წყალში კი არ უნდა ჩაყაროს ყველაფერი...

ისევ ვრისკავ, რომ კიდევ მოვიმრავლო მტერი, მაგრამ რა გქნა – მირჩევნია, მოყვარეს პირში ვუძრახო: “საქართველოს პირველი პირი სწორედ ველოსიპედით სეირნობდა, როცა მას სტეკით მანქანა შეეჯახა და მას არა მარტო ხელი, არამედ სხეულის სხვა ნაწილებიც ნაღრმობი აქვს...” – ასეთი “მარგალიტი” გეტყვობდა “მე-9-ს” “ჟურნალისტმა” პირდაპირ ეთერში და კიდევ ერთხელ გამიფლავა გონებაში საშინელმა კითხვამ: რომელია უარესი – მართალი, მაგრამ “გამართული” ტელევიზია, თუ უმართავი, მაგრამ – “გაუმართავი”?!

თუმცა, ერთი ტელეარხის ერთ ჟურნალისტს რას ენახი – შეიძლება, ის, რაც თქვა, პარლამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის და “ნაციმოს” ერთ-ერთი მთავარი “ფეისის” პასუხად თქვა (გიგი წერეთელს ვგულისხმობ), რომელმაც ბრძანა: პრეზიდენტს რეგენერაციის სწრაფი უნარი აქვს, ნუ ნერვიულობთ!

წერეთელი რომ ექიმი არ იყოს, ვიფიქრებდი, ტერმინი გამოიყენა არასათანადოდ-მეტოქი, მაგრამ კარგი ექიმი ვარო, ამბობს, და რა გქნა?! ასე რომ, იცის, რასაც ამბობს.

რას და, აი, ამას: “რეგენერაცია არის სხეულის დაკარგული ან დასახინრებული ნაწილის აღდგენა. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მედიცინაში, განსაკუთრებით კი ქირურგიაში”.

იქნებ სულ ტყუილად ვაკრიტიკებ ჩემს ახალგაზრდა კოლეგას? იქნებ მართლაც, რაღაც “დაურეგენერირეს” სტამბოლის კლინიკაში სააკაშვილს?.. “სხეულის სხვა ნაღრმობი ნაწილები” – ასე თქვა იმან, ხომ? ჰოდა, იქნებ... ჰა!!

თანაც ავერ, ამწუთას ახალი ნიუსი “დამაწია” სააკაშვილს “ინტერნეტში”: “მიხეილ სააკაშვილი თურქული მედიცინის დონით გაოგნებულია” – აბა, რა იქნება, მაგას თუ ყველა ნაღრმობი ნაწილი “აღუდგინეს” ერთ დღეში?!

და რაც მთავარია: თუკი რაღაცები კარგად “დაუპაჩინეს” (თეთონ გაოგნებული ყოფილა, ხომ ხედავთ?), რაღაც გვინდა პრეზიდენტის არჩევნები ოქტომბერში? იყოს, თუ ჭკვიანად იქნება!

ისე, ცოტა შემეცოდა კიდევ (არა, რას ჰქვია, ცოტა? – მაღლობა უფალს, რომ გადარჩა. ისე, უფალი მართლა ძალიან კეთილი და ბევრის მომენია, არა?), როდესაც თურქეთის პრეზიდენტთან, მათი მედიცინით გაოგნებასთან ერთად, ესეც თქვა: ჩემგან დამოუკიდებელი მიხეილს გასო აღმოეჩნდა კლინიკაში. ცხადია, აქ იმას არ გულისხმობდა, რომ ვინმემ ძალით წაიყვანა იქ. უბრალოდ, წარმოდგინა, საქართველოში ამაზე დადობა ბადა მაკლადო და ეს “ჩემგან დამოუკიდებელი მიხეილს” იმას ნიშნავდა, ავარიაში დამნაშავე მე კი არა, ტრაილერის მძღოლიაო. აბა, რა, მიშა, აბა, რა! – თურქი მძღოლი, ივანიშვილი და პუტინი! შენ არ ინერვიულო, მაინც “ახალრეგენერირებული” ხარ და არ გაწყინოს ემოციებმა.

ყველაზე მეტად თურქეთის პრემიერმა ერდოღანმა განიცადა ეს ამბავი და იქაური სამთავრობო დაცვის სამსახურს სულ ბღღიერი ადინა: ამ კაცს რომ რამე დამართოდა, ქართველებისთვის თვალეში როგორ შემხედო?! თანაც, ეგ, ხომ იცით, რატომ არის ეგეთი მავარი?! დიხა, წარმოშობით ქართველია და იმიტომ (როგორც ალ კაპონე, პუტინის დედა და რეივანის ბებია)! და კიდევ, არ მინახავს, მაგრამ წარმომიდგენია: იმ თურქი მძღოლის ემოციები, როდესაც ვიდაც შემოასკდა ველოსიპედით და მანქანიდან გადმოსულს ხელში ეს შერჩა (თუ იცნო).

P.S. “ველოსიპედის ძეგლი” რომ დგას რესპუბლიკის მოედანზე, სულ ვგრძობდი, რომ რაღაც საკრალური და იღუმელი დატვირთვა ჰქონდა და აბა...

ერთი ასეთი “საკრალური” ამბავი კიდევ ერთ თბილისელ “ველოსიპედისტს” უკავშირდება და სადღაც მაც მიდამოებში (მგონი, ელბაქისის დაღმართზე) მოხდა გასული საუკუნის 20-იან წლებში: კამო, იგივე სიმონ ტერპეტროსიანი, რევოლუციონერი და საკუთარი... მამ... ნუ, ხომ იცით?... რაღაცის ჭამით სახელგანთქმული სახელმწიფო მოღვაწე ველოსიპედით მანქანას შეასკდა და ადგილზე დაიღუპა...

ველოსიპედი და ავარია იგივეა, საბუნდოვროდ, შედეგის თვალსაზრისით ანალოგია არ არის სახეზე. მაგრამ რაღაც პოლიტიკოსებს ეხება საუბარი, სიცოცხლეზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, “საკვები რაციონის” ამბავში (რა თქმა უნდა, გადატანითი მნიშვნელობით) არ დავმთხვევს რამე...

P.P.S. 9 აპრილის დღეს და გამახსენდა: ბატონო მიხეილ, თქვენ სად იყავით 1989 წლის 9 აპრილს (ისე, ივანიშვილი სად იყო, ეგვეც მაინტერესებს)? პროვოკატორი

სატკივარი ყველასათვის ერთია

მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები უკვე ხაზგასმით ამტკიცებენ, რომ კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე სწორედ კოლხეთიდან იწყება. მეგრულ-სვანური ენები კი ქართველურ ენათა კომპლექსს წარმოადგენს, თავისი უმდიდრესი ლექსიკონით. ჩვენმა დიდებულმა წინაპრებმა შემოგვიინახეს ეს ქართველური (მეგრული და სვანური) ენები.

ჩვენს არც თუ შორეულ წარსულში, ქართულ საშუალო სკოლებში, მშობლიური ენის სწავლება პირველი კლასიდან იწყებოდა, ხოლო რუსული ენის სწავლება – მესამე კლასიდან.

დღეს კი როგორი მდგომარეობაა საქართველოს საშუალო სკოლებში?

ინგლისური ენის სწავლება იწყება პირველივე კლასიდან. ეს კი მნიშვნელოვნად ხელდასხმავს მოზარდის მშობლიურ ენაზე აზროვნებას.

ხელაღებით, უკონტროლოდ იყიდება უცხოელზე ქართული მიწა-წყალი, რაც ქართველი აბორიგენი მოსახლეობის უცხოეთში გადინების ძირითადი მიზეზი გახლავთ! მხოლოდ ასე თუ მოიპოვებს ქართველი ადამიანი საარსებო საშუალებას, თუმცა, ეს უკვე სხვა ანგარიშგასაწევი პრობლემა გახლავთ, რასაც ხშირად აშუქებს და კვლავაც გააშუქებს გაზეთი “ილორი”... სამწუხაროდ, თანამედროვე ქართული

პრესა უცხოური სიტყვებით უხვადაა გაჯერებული. ასევე უხვად მოუდინება უცხო სიტყვათა ნაკადი ტელეეკრანებიდან და თუ კვლავაც ასე გაგრძელდა, მაღე, ალბათ, ქართული ენა გადაშენების საფრთხის წინაშე აღმოჩნდება!

სწორედ ამ სატკივარს ებრძვის მედგრად ხახალხო მოძრაობა “სამეგრელო”, ბატონ ალექსანდრე ჭაჭავას ხელმძღვანელობით. ასევე დიდ მუშაობას უღდას სათავეში, ამ მართულელებით, ხახალხო მოძრაობა “სამეგრელო”-ს ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბატონი ზურაბ კვარაცხელია. მისი ინიციატივით სისტემატურად ტარდება სამეცნიერო ხასიათის ლექციამოსხენებები ქართველი ერის ისტორიიდან, მეგრული პოეზიის საღამოები სამურზაყანოელი მწერლებისა და პოეტების მონაწილეობით.

ამას წინათ, გაზეთებში “საქართველო და მსოფლიო” და “ილორი”, გამოქვეყნდა ხახალხო მოძრაობა “სამეგრელო”-ს ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბატონ ზურაბ კვარაცხელიას და მისი მხარდამკერების ოფიციალური მიმართვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბატონ დავით უსუფაშვილისადმი, რათა ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ხასწრაფოდ მიიღოს შესაბამისი დადგენილება ქართველურ ენათა დაცვის სახ-

ელმწიფო დეპარტამენტის შექმნის თაობაზე. ამისათვის კი უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც ქართველური ენების გადასარჩენად შეიმუშავებს ქმედით სახელმწიფო პროგრამას.

ეს ხომ დიდი სატკივარია ყველა ქართველისათვის, რადგან სწორედ მეგრულ და სვანურ ენებშია მთელი ის საიდუმლო, რომლის დაშლივარსაც შეუძლია მიგვიყვანოს მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებამდე. ამის ნათელი დადასტურება გახლავთ თუნდაც ოთხი ათასი წლის წინ ხმელთაშუა ზღვის კუნძულ კრიტოსზე შექმნილი ცნობილი “ფესტოსის დისკო”, რომლის ამოკითხვაც ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა ბატონმა გია კვაშილავამ სწორედ კოლხური ენის გამოყენებით შესძლო. ნუთუ, ყოველივე ამის შემდეგ, დიდი მტკიცება სჭირდება იმას, თუ რაოდენ ფასეულობას წარმოადგენენ თანამედროვე მსოფლიო ენათმეცნიერებაში ეს ქართველური ენები?!

ამიტომ, ჩვენ მხარს ვუჭერთ ხახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მესვეურთა აღნიშნულ ინიციატივას და კატეგორიულად მოვითხოვთ საქართველოს პარლამენტისათვის ზემოთმოთხილებული საკითხის დროულად მოგვარებას!

პატივისცემით, ნაპოლეონ ბერბედავა, აფხაზეთიდან დევნილი პედაგოგი

პოეზიის კუთხე

ქიმიტოვალისმა

სი მიდგონხანჯეს გავლა რზენიშა, ფიორ-ფიორით მეუღლით ხე-ხეთ შუმილემს... ქიმიტოვალისეს ჭითა დიხას დო დირთეს აშო, დერდენ-დერდენწით... სქან ელი-მოდსე ვეგლევალუ შურიდგუმილი, ქიკეშქირტ დოფაქ დო ბუხარიშე ვეშმურსე კუმა... სქან მოთალეფი შიბულენა ორუსეს ფარას, დურნო ოფუტე, სქანწემა ართო, – სი ორქო კონი?!

ღურუშ თია

მა სისმარო აწმაძირუ: ღურუქ მალას ქუმურქია, თეშენ დული ვამაყვილე ირკონ ვორეთ ღურუშ თია... ***

მა ვართხულე, გიმოდინე, მიკომლუე, ქომბირე, ჩქიმ თხულა თენა ორე – სი აკაშა ქომბირე...

რამაზ კუპრა

კოლხეთი – პაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორი" №171-216

ყოფილი კოლხეთის ტერიტორიაზე მცირე აზიიდან ნოვოროსისკამდე (რათქმა უნდა, აფხაზეთის ჩათვლით) დღემდე შემორჩენილია მგერული ტოპონიმები. როგორც ქვემოთადაც მითითებული, სხვა უზარმაზარ ტერიტორიებთან ერთად, დღევანდელი თურქეთის მიწა-წყლი.

გარკვეულია, რომ სვანები, მესხები, მგერულ-ლაზებთან და სხვებთან ერთად წარმოადგენდნენ კოლხურ მოსახლეობას ჩვენს უძველეს მიწაზე.

ანზორ შონია წერს: კომუნისტურმა რეჟიმმა, როცა შექმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, საბჭოთა მთავრობამ „აფხაზეთს არ დაუბრუნა სოჭი-ტუაფსის რეგიონი, მაგრამ სანაცვლოდ მის საზღვრებში მოაქცია გაცილებით დიდი ტერიტორია მდ. ენგურისა და სოხუმამდე, სამეგრელოს მკვიდრი ნაწილი.

ეს იყო იმ ვაჟის საქართველოს მთავრობის მიერ დაშვებული უმძიმესი შეცდომა.“ ჩვენი აზრით, უდიდესი დანაშაული, რომელიც შეგნებულად გაკეთდა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაფუძნება რაც გინდ „საჭირო“ ყოფილიყო, მის შემადგენლობაში არ უნდა შესულიყო სამეგრელოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ისიც კარგადაა ცნობილი, რომ XX საუკუნის დასაწყისში სოჭში ძირითადად მგერელები ცხოვრობდნენ. უფრო ზუსტად 1900-1917 წლებში სოჭის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა – მგერელები შეადგენდნენ.

ფიქრობთ, რომ აფხაზეთის ხელისუფლება განებივრებული რომ არ ყოფილიყო სხვისი ტერიტორიების ასე უბრალოდ მითვისებით და არ ჰქონოდათ მიტაცებული ვრცელი ტერიტორიები, მიუხედავად რუსეთის რეაქციული ძალების უდიდესი მხარდაჭერისა და კარნახისა, შეიძლება ვერ „აგებდათ“ აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ გამოცხადება, რითაც ქართველი და აფხაზი ხალხის წინაშე გამოუსწორებელი დანაშაული ჩადინეს.

ა. შონია შემდეგ აგრძელებს: ისტორიული აფხაზეთი როგორც ითქვა, ქართველები (მგერელები) არიან, – უფრო ზუსტად, აფხაზეთში მცხოვრებ მგერელებს ერქვა აფხაზები, ბუნებრივია, მათი მშობლიური ენა – იყო მგერული და არავითარი განსხვავება არ იყო აფხაზეთში და სამეგრელოში მცხოვრებ მგერელებს შორის და ისიც, რომ დღევანდელი აფხაზების, თითქმის 85-90%-ზე გაცილებით მეტს ლაზურ მგერული გვარები აქვთ. აფხაზეთი სამეგრელოს ღვიძლი კუთხეა. აფხაზები მგერელები იყვნენ. ბევრს გვარები შეცვლილი აქვთ, მაგრამ ეს საქმის შინაარსს არ ცვლის.

შეითხველს გვინდა შევახსენოთ ამ ნაშრომში ზემოთ მოტანილი აკად. ნიკო ბერძენიშვილის სიტყვები, რომ აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო და აფხაზი ისეთივე ქართველი, როგორც ეგრისი და მეგრული, პერეთი და პერი, ქართლი და ქართლელი... ეს უტყუარი ჭეშმარიტება შესანიშნავად იციან აფხაზმა მეცნიერებმა, მაგრამ ამაზე ლაპარაკს და ამის გახსენებას სიკვდილით განიცდიან.

კვლავ ვიმეორებ: „აფხაზების“ მშობლიური ენა იყო მგერული, უფრო ზუსტად, მგერული ენის სამურზაყანული კილი.

ანდრია მოციქულმა ქრისტეს მოძღვრება იქადაგა აგრეთვე აჭარაში, სვანეთში, მას ქართული საეპისკოპოსოც დაუარსებია. მართალია, I საუკუნეში ქრისტიანობა ვერ იქცა სახელმწიფო რელიგიად საქართველოში, თუმცა, ქრისტიანობამ, სამეგრელოში თითქმის გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა. ამას ადასტურებს

ისიც, რომ მსოფლიოს პირველი საეკლესიო კრებას, როგორც ითქვა, რომელიც მოწვეულ იქნა ნიკეაში 325 წელს კონსტანტინე I დიდის საგანგებო ბრძანებით, ესწრებოდა ბიჭინთის ეპისკოპოსი სტრატონილე და ტრაპიზონის ეპისკოპოსი დომნიუსი (ეს მიუთითებს ქრისტიანობის ფართოდ გავრცელებაზე სამეგრელოში).

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ნათქვამია, რომ აღნიშნულ კრებაზე „ისხენიება ბიჭინთის საეპისკოპოსო კათედრის მმართველი ვინმე სტრატონილე“. საკითხავია, რატომ „ვინმე სტრატონილე“? ის ხომ ნამდვილი ეპისკოპოსი იყო და ამ პერიოდში მარტო სამეგრელო-აფხაზეთის ტერიტორიაზე რამდენიმე საეპისკოპოსო იყო (საეპისკოპოსო იყო ფაზის ტერიტორიაზეც), მაშინ როდესაც საქართველოში, ქრისტიანობა ჯერ კიდევ სახელმწიფო რელიგია არ იყო. ის ასეთად გამოცხადდა უფრო გვიან. ქრისტიანობის ისტორიაზე მრავალი შრომების ავტორი ვ. გოილაძე მიუთითებს, რომ ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად გახდა 318 წლიდან. სხვები მიუთითებენ, რომ ქრისტიანობა საქართველოში გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს 325 წლიდან და ა.შ. (ამაზე უფრო ქვემოთ გვექნება საუბარი). იმასაც ადასტურებენ, რომ ქრისტიანობა საქართველოში გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს 326 წლიდან.

საქართველოში, ისე როგორც რომის იმპერიაში, წარმართული სარწმუნოება ჯერ კიდევ ძლიერი იყო, ამასთანავე ქვეყნის მმართველი ძალები ყოველნაირად ებრძოდნენ ახალ რელიგიას. ჯამია ვითარებაში მტერთა მდგომარეობა შეაბრკოლა ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

ცნობილია, რომ 336 წლის 25 დეკემბერს, რომში პირველად დოკუმენტურად იქნა დამტკიცებული ქრისტეს დაბადება. IV საუკუნეში, ისევე დედა ღვთისმშობელმა მოწვეულა ნინო კაპადოკიელს, კვლავ ექადაგა თავისი წილხვედრი იერონი ქრისტეს მცნება. აღნიშნული საუკუნის დასაწყისში, როგორც ამტკიცებენ, ქართველმა (ლაზმა) მანდილოსანმა ნინომ (ზოგიერთი მას ბერძნად თვლიდა) ქრისტეს მოწვევების მიერ დაწვევული საქმე დაავიწყებინა. ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგია გახდა. ზ. გამსახურდია ამბობს: „ნინო არის ქართველური მოღვაწის სიმბოლო, ქართული ქრისტიანობის სიმბოლო.“

უცხოელი მკვლევარები ტესივ. გასაპერო და სხვები, აგრეთვე ქართველი მეცნიერი დავით ჩუბინაშვილი ამტკიცებენ, რომ კაპადოკიელები ქართველები (მესხები-მეგრელები) იყვნენ ისე, როგორც იოანე ზედაზნელი და მისი თორმეტი მოწაფე. წმინდა გიორგი და მოციქულთა სწორი წმინდა ნინო წარმომავლობით ქართველები იყვნენ კაპადოკიელი. მაგრამ ადრინდელი მწერლები რატომღაც აღნიშნულ კაპადოკიელებს სირიელებად თვლიდნენ (გასაც გასვიანი, მითითებული ნაშრომი, გვ. 8). სანტიერესო 1912 წელს გამოცემული პროფ. სარგის კაკაბაძის ნაშრომი „წმინდა ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის“. ქართველ მეცნიერთა შორის მრავალი განსხვავებული აზრი არსებობს. წმინდა ნინოს შესახებ – მისი საქართველოში ამოსვლის (მოღვაწეობის), გარდაცვალების თარიღის შესახებ და სხვა. ზოგიერთ ქართველ ცნობილ მეცნიერს თითქმის არ სჯეროდა მისი საქართველოში მოღვაწეობა. ასევე განსხვავებული აზრებია აღმოსავლეთ საქართველოს მოქცევის თარიღის შესახებ – სახელდება სხვადასხვა, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო თარიღები.

ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო, როგორც ქვემოთაც გვაქვს საუბარი, კეთილმორწმუნე და წარჩინებული მშობლების ზაბულონის და სონანას ურთადერთი ქალიშვილი იყო. ზაბულონი რომელიც იმპერიის მხედართმთავარი, ფრანკთა განმანათლებელი იყო, ხოლო დედა – სონანა, იერუსალიმის პატრიარქის, იუბენალის და; ნინო ქალაქ კალასტრიში დაბადებულია. (ჩანს ნინოს დედ-მამა, ბიძა კაპადოკიელი ლაზები იყვნენ). ნინოს მშობლები აღნიშნული ქალაქიდან იერუსალიმში წავიდნენ და მთელი ქონება გლახაკებს დაურთვეს, ზაბულონი ბერად აღკვეცილა. ღვთისმშობელი მარიამი ნინოს ძილში გამოეცხადა და ქართველთა გასანათლებლად დიდებულ მისივე აღსასრულებლად ვაზის ჯვარი უბოძა. წმ. ნინო იერუსალიმის პატრიარქის ლოცვა-კურთხევით საქართველოში წამოვიდა, I ივნისს პირველად

უფნი დაადგა ჯავახეთის მიწას, (I ივნისს ქრისტიანული საქართველო აღნიშნავს მოციქულთა სწორის, ქვეყნის განმანათლებლის წმინდა ნინოს შემოსვლას ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე, რასაც დიდი სულიერი ფერისცვალება მოჰყვა). ხოლო 19 აგვისტოს მცხეთაში იყო, რომელ დღესაც არმაზის კერპის დეგობა იყო. წმ. ნინოს ლოცვით, დიდი სასწაული მოხდა, ზეციდან მოწვეული რისხვით კერპი შეიმუსრა, დაიწყო ქართლის მოქცევა. ეს დღე საქართველოს ფერისცვალებას და განახლებას მოასწავებს. წმ. ნინოს დედად ქართველოში განმტკიცდა ქრისტიანობა. ნინოს მცხეთაში, თავის სადგომში აღუმართავს ვაზის ტოტებისაგან – „ნასხლავებისაგან“ გაკეთებული ჯვარი. ჯვარი ვაზისა ნინოს თმებით იყო შეკრული. ჯვარი ნასხლავისა ნინოს ღვთისმშობელმა მისცა. ვაზი და ჯვარი ქართულ მითოსში დაკავშირებული იყო ნათელთან და მხესთან. უთუოდ ისტორიულია ის ფაქტი, რომ კოლხ მეღვას ვაზისაგან გაკეთებული კვერთხი ეყვრა ხელთ.

ნინოს წყალობით, მცხეთაში ქრისტიანობას მრავალი მიმდევარი გაჩენია. მას გაუქრისტიანებია ქართლის დედოფალი ნანა (ნონა), შემდეგ მირიანი და სამეფო ოჯახის წევრები.

ნინოს სამისიონერო მოღვაწეობა გაუგრძელებია ქართლის სამეფოს სხვა კუთხეებშიც. ის გარდაცვლილია სოფელ ბოდიანო (დღევანდელი ბოდიე) და იქვე დაუკრძალა. რა ენაზე ელაპარაკებოდა მანდილოსანი ნინო სოფ. ბოდიანის და სხვა სოფლებს მოსახლეობას? – ვკვირ არის ქართულ ენაზე. ისიც კარგადაა ცნობილი, რომ კაპადოკია ქართული (კოლხი) ტომების საცხოვრისი იყო.

ქრისტიანობა კოლხეთში და მიუღწეოდა საქართველოში იერუსალიმიდან შემოვიდა. ქრისტიანული წმინდა რელიგია – ქრისტეს კვართი მცხეთაში იერუსალიმიდან იქნა შემოტანილი, როგორც სვეციალისტები მიუთითებენ, საქართველოში ჰქონდათ საკუთარი ინფორმაცია, ქრისტეს დაბადების, საქმიანობის, ქადაგების, წამების, ჯვარცმისა და ამადლების შესახებ და კვართი წამოიტანა ელითზმა, რომელიც მცხეთიდან იყო წასული ქრისტეს საფლავის ერთ-ერთ დარაჯად.

ღვთისმშობლის წილხვედრად ქვეყანაში, საქართველოში დაბრძანებულია მისი კვართი. გადმოცემის თანახმად, ყოველდღე წმინდა ქალწულმა ერთ-ერთი სამოსელითაგან ერთი ქალწულს გადასცა და სთხოვა, სიკვდილის მოახლოებისას ასევე ქალწულისთვის გადაეცა.

ბიზანტიამ ღვთისმშობლის ზეობისას მეფესთან დაახლოებულმა ძმებმა – გაბლიუსმა და კანდიდამ წმინდა ადგილების მოსალოცად გასწვიეს. დამე გაათიეს ნაზარეთის (რომელიც მგერულთა საცხოვრისი იყო-ქრისტეს მშობლის სოფელი. ასევე მგერული წარმომავლობის იყვნენ წმინდა ნინო (ლაზი) და მისი უახლოესი ნათესავი, ბიძაშვილი წმინდა გიორგი) მახლობელ სოფელში, იქ გადააწვდნენ ძირფასკი კილობანში ნაბრძანებულ ღვთისმშობლის კვართს და კონსტანტინოპოლს გადაასვენეს. 469 წელს კვართი პატრიარქმა გენადი კონსტანტინოპოლელმა ზღვისპირა ქალაქ ვლადიკავკასიაში – ყოველდღე წმინდა ქალწულის პატივსაცემად აგებულ ტაძარში გადააბრძანა. შემდგომში ამ კილობანში ნასვენეს მისი წმინდა ომოფორი, და სარტყლის ნაწილი. ღვთისმშობლის სასწაულები, შემდგომ ეს სიწმინდენი, ვლადიკავკასიაში ხატთან ერთად, საქართველოში მოხვდა. ერთ-ერთი ვერსიით, ისინი კეისარმა პერაკლემ VII საუკუნეში ანუ ქართველთა მეფეს; მეორე ვერსიით, მწვალებლებს საქართველოში გამოართდეს; სხვა ვერსიით – ბიზანტიის იმპერიის დამხობის მერე კონსტანტინოპოლიდან იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მოხვდა.

როცა სამეგრელოს მთავარმა ლეონ II-მ მონასტერი განაახლა, იერუსალიმიდან მოიწვია ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი ირბახი და კორცხელების წინამძღვრობა ჩააბარა. ნიკოლოზ ირბახმა თან ჩამოიტანა ეს სიწმინდეები. დადიანთა მეფეობით, სიწმინდეები რუსეთის იმპერატორის ხელში აღმოჩნდა. აღექვანდრე I-მა ხატი პატისანი თვლებით შეამკობინა, ახალ პერანში ჩასვა, უკან დააბრუნა და ბრძანა, საგანგებო ტაძარი აეგო. 1830 წელს მშენებლობა დასრულდა ტაძარში დააბრძანეს ღვთისმშობლის ხატი. ვლადიკავკასიის ხატი ამჟამად საქართველოს ხელისუფლების მუზეუმშია დაცული. სამოსელი – ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში – დადიანების სასახლეში. სარტყლის ადგილ-

სამყოფელი უცნობია. ამბობენ: რადგან მარიამ ღვთისმშობელი ქართული წარმომავლობისაა. დედაღვთისას საძვალე კაბადოკიაშია. კაბადოკია კი მესხური (მგერული) – ქართველური ტომებით იყო დასახლებული. საქართველო წმინდა მარიამის წილხვედომლია – სწორედ ქართული წარმომავლობის გამო აირჩია უფლის დედამ იბერია ქრისტეს მცნების საქალაგებლად, მაგრამ ასაკის გამო ვერ შეძლო წამოსვლა და აქ გამოგზავნა უფლის მოციქულები – ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი და მატათა. შემდეგ, ასევე კაბადოკიელ წმინდა ქალწულ ნინოს გადასცა ვაზის ჯვარი და თავის წილხვედომილ ქვეყანაში გამოგზავნა. ეს ჯვარი სიონის საკათედრო ტაძარშია დასვენებული. ღვთისმშობლის კვართი დაცულია საქართველოში, ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი ბრძანდება საქართველოში, ხოლო დედის მოქსოვილი კვართი, რომელიც იესოს ჯვარცმისას ეცვა და რომელზეც „განიგდეს წილი“ – სვეციცხოველის ტაძარში.

იერუსალიმის შემდეგ სირიის ქალაქი ანტიოქია ქრისტიანობის მეორე კერად ითვლებოდა.

XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეები, მეცნიერები წმინდა ნინოს ქართველად თვლიდნენ. დ. დ. ბაქრაძეს აზრით, ნინო სირიიდან უნდა ყოფილიყო. ს. გიორგაძე თვლის, რომ პონტო-კაპადოკია ძველი დროიდან ქართველური სამეფო იყო და წმინდა ნინოც ქართველი იყო. აგრეთვე პონტო-კაპადოკიიდან იყო პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის მეუღლე ნანა დედოფალიც, რომელიც აღრვევ იყო გაცნობილი ქრისტიანულ სარწმუნოებას და შემთხვევით არ იყო, რომ მეფის ოჯახმა ერთ-ერთმა პირველმა მიიღო ქრისტიანობა.

თხოთის მთაზე მონადირე მირიან მეფესა და მის ამაღლს დაუხვდნენ მზე და ამაოდ ევედრებოდნენ გათენებას ყველა ღმერთსა და კერპს, დაიფიცეს თუ ნინოს ღმერთი გაგვინათებს, მას ვირწმუნებოთ და ამობრწინა მნათობი ამის თქმაზე და განინათლა და გაანათლა ქართლისიანთა მოღვაწე.

გასული XX საუკუნის 30-იან წლებში ივანე ჯავახიშვილს ასტრონომებისათვის უთხოვია გაერკვიათ, დაბნეულა თუ არა მზე IV საუკუნეში და რა მოხდა, მირიან მეფემ მზის დაბნელება იხილა თუ სხვა რამ. ამ კითხვაზე მაშინ ასტრონომებმა ვერ უპასუხეს. უფრო გვიან მირიან გოგოლაშვილმა და სხვებმა დაადგინეს, რომ 319 წლის 6 მაისს მართლაც მომხდარა მზის დაბნელება საქართველოში. მაგრამ ამით ვერ დადგინდება რომელ წელს გავრცელდა ქრისტიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, სხვადასხვა, განსხვავებულ თარიღს ვარაუდობენ. უნდა აღინიშნოს, რომ კორნელი კეკელიძეც (რომელსაც ერთ დროს არ სჯეროდა ნინოს საქართველოში ყოფნა) ნინოს ქართველად თვლიდა.

პროფ. ვ. გოილაძე მიუთითებს, რომ წმინდა ნინო პონტო – კაპადოკიიდან იყო, რომელი ტერიტორიებიც დასახლებული იყო ლაზურ-ჭანური მოსახლეობით; ნინომ მცხეთაში ამოსვლის შემდეგ, მალე ისწავლა ქართული ენა (როგორც აღინიშნა, ლაზი იყო) და ამ ენაზე დაიწყო ქადაგება.

ამ კუთხიდან იყვნენ ქართლის პირველი კათალიკოსი პეტრე და სამოელი და დასძინეს: კაპადოკიიდან ქართლში შემოსული სასულიერო პირები პეტრე და სამოელი პონტო-კაპადოკიის ეკლესიის მდიდარი ქრისტიანულ ტრადიციებზე აღზრდილი მოღვაწეები იყვნენ. მათთან ერთად მოსული სასულიერო პირები ქართველად მიანდა ნოდარ ლომოურს, ივანე ლოლაშვილს და სხვებს.

აკად. ს. ყაუხჩიშვილი იხილავს ნიკეის 325 წლის მსოფლიო საეკლესიო კრების საკითხებს და აღნიშნავს, რომ ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოში ქრისტიანული ორგანიზაციები მტკიცე იყო და ტრეპეზუნტის (დომნუსი) და ბიჭინთის (სტრატონილე) ეპისკოპოსების დასწრება მსოფლიო პირველ საეკლესიო კრებაზე განპირობებული იყო არა მარტო ბერძნული მოსახლეობის წარმომადგენლობით არამედ ისინი იყვნენ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლობით.

კლიმენტე შელია,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მე არ ვარ პირველი მორბოშია, ვინც იტალიაში ჩავიდა!

წინარე რომაულ ეპოქაში იტალიის სამხრეთში ცხოვრობდა ხალხი სახელად "მორგეთი". მათ ეთნარქ მეფეს ერქვა "მორგესი", "მორგესის" მამას ერქვა "იტალო" რომლის სახელსაც ატარებს დღემდე იტალია. "მორგეთები" იყვნენ აგრეთვე სიცილიელი მეფეები "იპოკრატე", "გერონე" და "გელონე", რომლის ქალიშვილსაც ერქვა იტალა. სავარაუდოდ ამ მეფემ მოჭრა პირველი იტალიური მონეტა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 465 წელს.

"მორგეთების ერთ შტოს ერქვა "კალქიდეზები (კოლხიდელები)". "მორგეთების" მთავარ ქალღვთაბას ერქვა "კიბელა-რეა", იგივე "გერა".

იტალიელი ისტორიკოსი მარო გუარნანი ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში მოღვაწე დიოდორე სიცილიელის ცნობებზე დაყრდნობით გვატყობინებს: **"ეს კოლხები, რომლებიც ესხა იბერებად იწოდებიან, დასახლდნენ სიცილიაში"**.

ესენი სიცილიაში 3400 წლის უკან უნდა გამოჩენილიყვნენ; IX,VI ძ.წ. აუთვისებით აგრეთვე კალაბრია (ქართაბერია?) და მერე ლამის მთელი იტალია. ზოგის აზრით ისინი პირიქით ლიგურია-ტოსკანიდან ჩამოვიდნენ ქვევით. მათ ეკუთვნის ტოპონიმები: "მორგანტინა", "მორგათიუმი", "ტარანტო", "ქართაგირონე", "მარგი", "ზანკლე", "მესინა"(მესინა?), "მეგარა ჰიბლეა", "სირაკუზა", "უმბრია (უმბერია?) და ა.შ.

დღემდე არსებობს მათი ქალაქი "სანჯორჯიო მორგეთო" (წმინდა გიორგი მორგეთო). იტალიელმა მეცნიერებმა არ იციან რა ენაზე ლაპარაკობდნენ "მორგეთები" (ჩვენ ვიცით). "მორგეთებმა" "სიკულებთან" ერთად შექმნეს "იტალოს" და "ლაციოს" (ლაზიოს?) სამეფო, რომელსაც ეტიმოლოგიურად უკავშირებენ პროლათინურ ლეზაბას "ლაზას". სტრაბონი "იბერებსაც" ასახელებს "მორგეთებთან", "სიკულებთან" და "ელიმებთან" ერთად და ამავდროულად ამ უკანასკნელთაც იბერიულ მოღვაწეს მიაკუთვნებს.

დიონისე ალიკარნასელის ცნობითაც ეს **"სიკულ-ელიმ-მორგეთები"** იბერიელების შთამომავლები არიან და ამავდროს არიან პელაზგებიც. თუკიდიდეს აზრით ყველა ამ ტომების საერთო სახელია "ელიმები", რომლებიც ტროელ მეომართა შთამომავლები არიან - "ლიმა" მეგრულად ომს ნიშნავს - ამდენად "ელიმი" მეომარს უნდა ნიშნავდეს. ბერძნები იტალიასაც და ესპანეთსაც ეძახდნენ "ჰესპერიას", მეორენაირად "იბერიას" ("ბერ"-ფუძეზე უფრო დაწვრილებით ვწერ ჩემს ნაშრომში "იბერიადა"). "იბერია" თავდაპირველად ერქვა ოლქს ლაზეთში - ქართველ მეც-

ნიერთა უმრავლესობა (ჯავახიშვილი, ჯანაშია და ა.შ.) მიიჩნევენ, რომ ესაა მერმინდელი "სპერის" ოლქი, რადგან "პერ"-ფუძე "ბერ"-ფუძიდან მიღებულად მიაჩნიათ.

ეს მართლაც შესაძლებელია, მსგავსი მაგალითი გვაქვს "(პ)იბერ" და "ჰესპერის" სახითაც, ამდენად შესაძლებელია აგრეთვე ესპანეთის სახელის "იბერიიდან" მიღებასაც: "იბერია"-ისპერია"-ისპარია"-ისპანია"-სპანია".

საყურადღებოა, რომ შუამდინარეთში არსებული ქალაქი "სიპარი" არის ერთ-ერთი კოლხური შტოს "სუბარების", იგივე "თუბალების", იგივე "ტიბერანების", ანუ "ტიბარნების", ანუ "იბერების" დაარსებული. ამდენად "ბერ" - ძირის სახესხვაობაა აგრეთვე "პარ" ძირიც.

ტროას მეფეს ერქვა "პრიამოსი", მის ერთ-ერთ ვაჟს კი "პარისი", რაც ამავე "პრიამოსის" სახელის სახეცვლილებად მიიჩნევა. "პრიამოსის" უფრო მართებული ფორმა უნდა ყოფილიყო "პერამოსი", რაც აისახება მისი სახელის სახელში "პერგამოსი", ეს "პერგამოსი" იყო ამასთანავე ქალაქი ტროას მეორე სახელიც. "პერგამოსი" ელინიზებული ფორმაა, თავდაპირველ ფორმად უნდა მივიჩნიოთ "პერგოს" და "ბერგოს" - "ოს" ბოლოსართია, გერნება "პერგე" - საფრანგეთის ისტორიული ოლქის "პერიგორის" მთავარ ქალაქს დღემდე შემორჩა გალო-კელტური სახელი "პერიგე" - ამავე რეგიონში გხვდება ტოპონიმები: "ბერგურაკ (ბერგურაკი)", "მარგო", "კოლი" და ა.შ. იტალიაში კი არის ქალაქი "პერუგია(პერუჯა)" და "ბერგამო".

ანტალიაში დღემდე მოღვაწე უძველესი ქალაქი "პერგეს" ნაშთებმა, რომელიც ლეგენდის მიხედვით ტროას დაცემის შემდეგ დაარსა წინაწარმეტყველმა "კალხასმა (კოლხასმა)" რომელიც თავად იყო ქალაქი "მეგარადა". აღსანიშნავია რომ ბაგრატიონები იყვნენ "სპერებიან", იგივე "პარიადრიდან" და სახელი "ბაგრატი" აქედან უნდა მომდინარეობდეს: "ტი" ბოლოსართია, გერნება "ბაგრა", "ბა" თავსართი ნიშნავს ღმერთს, უფროს-წორედ ის არის უმაღლესი ღვთაების შეკვეცილი ფორმა: "ბელ-ბალ-ბერ-ბრა-ბა". სახელ "ბაგრატი" თუ აღვადგინეთ "სპერ-ბერ"-ფუძეს თავდაპირველი ფორმა გამოდის "ბერგრა"-პერგრა, "გრა" იგივე "გერაა", ამდენად მივიღეთ "ბერგერატი", შემოკლებით "ბაგრატი", აქედან კი "ბაგრატიონი". მოგეხსენებათ, რომ წარმართული ხანის სმეფო სახელებში ფიგურირებდა უმაღლეს ღვთაებებათა სახელები.

ქართული წარმართული პანთეონის უმაღლესი ღვთაებაა "მორიგე", რომლის უწინდელი ფორმები უნდა ყოფილიყო: "მარგა", "მორგე", "მარგე", რაც შედგება სამი "მა(მი)", "რ(რე)" და "გე" კომპონენტე-

ბისაგან: "მა"-ში" თავისთავად თავსართია, მაგალითად "მორგენება" და "მაჩეუნებელი", მეგრულში "მარდუალი" (გამზრდელი) და "მორდუალა" (ზრდა). "მა" და "მო" თავსართები გვხვდება ერთდროულადაც, მაგალითად: "მარაგი" და "მომარაგება", "მომარობა" და "მამომარაგებელი".

"მორგეს" ბოლო კომპონენტი "გე" კი შემორჩენილია მეგრულ ენაში და იგი გამოხატავს უმაღლესი სიყვარულის და მოწიწების გძნობას, მაგალითად მიმართვა "მურიგე" ნიშნავს სულის ჩამდგმელს, "თოლიგე" თვალის ჩინის მოწყვანს. "გე" გვხვდება ქართული პანთეონის უმაღლესი ღვთაების სხვა სახელებშიც "გერგე"(მერმინდელი წ.მ. გიორგი) და ხურიტულ-კოლხური მზის ღვთაების სახელში "შიმიგე", რომელიც არის იგივე "უთუ-უტუ-ღუტუ-შამაშუთუ" მხედმერთი, ასევე უმაღლესი პელაზგური ღვთაებების სახელში "გე"-გეა" და "გერა"(გერა). ამდენად "გე" ღვთაებობის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც "ელ-ილ და თარ" ფორმები.

მეორე კომპონენტი "რე" - "რ"(რინა) მეგრულად ნიშნავს ყოფნას-არსებობას და ესაა ეგვიპტური უმაღლესი ღვთაების სახელიც და აგრეთვე ის აისახება უაღლესი ღვთაებების სახელშიც "კიბელა რე". როგორც ვხედავს "მორიგე" - "მორგე" შემთხვევით არ ერქვა ქართული პანთეონის უმაღლეს ღვთაებას, საიდანაც არის ნაწარმოები ჩემი გვარი "მორგეში", რომლის გვიანდელი ფორმაა "მორგოშია" - "ში" ნიშნავს კუთვნილება-ჩამომავლობას.

შესაძლოა "მორგედან" იყოს ნაწარმოები აგრეთვე ხეთის მეფეების სახელი "მურშილიც" (მრ"ში) და იტალიელი "მორგეთების" მეფე-ეთნარქის სახელიც "მორგესი". სიკულ-მორგეტების დაარსებული ქალაქი "მესინა", რომელსაც თავიდან ერქვა "ზანკლა"-ზანკლონი - ლათინურად "მეზანა". "ზან"-ფუძიდან უნდა იყოს მიღებული კიდევ ერთი იტალიელი ხალხის სახელი "სანიტები" რომლებმაც რომაელებს არაერთი მარცხი აწვნიეს. "სანიტების" მხარეს ქვია "სანიო", ხოლო მათ ერთ მდინარეს ქვია "სანგრა".

"ზან"-ფუძესვე უნდა უკავშირდებოდეს ეტრუსკების თეოცახელი "რასენა"-რ(ლა)სენა(სანა-ზანა)". გარდა სამხრეთ და ცენტრალურ იტალიისა ჩრდილოეთშიც არსებობს კოლხური კვალი: ისტორიულ "ისტრიაში" (ჩრდილო-დასავლეთ იტალია და სლოვენია) მთავარი ქალაქი "პოლა" სტრაბონის, პლინიუსის და პოლიბიოსის ცნობით დაარსეს კოლხებმა. გარდა ამ ქალაქისა ზოგი იტალიელი მკვლევარის აზრით ამ რეგიონის სხვა ქალაქებიც კოლხების დაარსებული უნდა იყოს, ჩემის აზრით მათ შორის შესაძლოა

ქალაქ ვენეციასაც კოლხებმა ჩაუყარეს საფუძველი, მითუმეტეს რომ იგივე ბერძენი ისორიკოსების გადმოცემით კოლხები წყალში და ჭაობებში ჩარჭობილ გრძელ ხის ბოძებზე აშენებდნენ სახლებს - სწორედ ესეა აშენებული ვენეციაც - ადრინდელი "ვენეცია", რომელიც ატარებს "ვენეცების" ტომის სახელს. ეს "ვენეცები" ზოგს მცირეაზიის პაფლაგონიდან მოსულნი გონია ტროას ომის შემდეგ, ზოგს პელაზგების შთამომავლები, ზოდს კელტ-გალების, ზოგს ილირიელების -საქმე იმაშია რომ ყველა ზემო-ჩამოთვლილი ხალხები თავად არიან კოლხური წარმოშობისანი.

ქალაქ "პოლას" უნდა უკავშირდებოდეს ასევე იტალიური ღმრის სახელი "პოლენტა" და იტალიელ წარჩინებულთა გვარი "პოლენანა". ანმას იტალიურად ერქვა "ლაზანია", მაკარონს "მაკეონე"- (მაკონენი), ბოსტანს ქვია "ორტო" - მეგრულად "ორტენი", ჩახოხილს "ფაჯიანო" - ზემოხსენებულ რეგიონში გვხვდება აგრეთვე ტოპონიმი "ფაზანა". ქალაქ "პოლას" ბერძნულად ერქვა "პოლაი" - "პოლ-პოლის" ქალაქს ნიშნავს -ესევიც ქალაქი "აი" აღბად "აიას" მაგვარი. ამ ყოველივედან შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: უკანასკნელი გამყინვარებისას მოსახლეობისგან დაცლილი იტალიის ტერიტორია პირველად გეორგიანულმა მოღვაწე ათეოსმა, შემდგომ ბერძნული ენის გავლენიანი ლათინური ენა გაბატონდა. ბოლოს იტალია თათრულმა ტომებმა დაიპყრეს (ჰუნებმა, გოთებმა, ლონგობარდებმა) და დღევანდელი იტალიელები გეორგიანელების და თათრების შიშობილ წარმოადგენენ, ისევე როგორც ევროპის ყველა სხვა ხალხი.

ბაკურ მორბოშია



სააკაშვილი: „რუსეთს სურდა ჩემი ფიზიკური ბანადგურება“

თურმე, საქართველოს პრეზიდენტისთვის დღემდე გაუგებარია, რა პრაგმატულ პოლიტიკაზეა ლაპარაკი რუსეთთან, როცა ტერიტორიების ოკუპანტს ოკუპაციის დასაბუთება ეძლევა. ამის შესახებ მიხედვით სააკაშვილი სისტემურად აცხადებს სხვადასხვა ქვეყნებში უკანასკნელ პერიოდში გახშირებული უაზრო ვიზიტებისას.

„საქართველოს მთავრობა ხაზგასმით ამბობს, რომ მას უნდა პრაგმატული პოლიტიკის გატარება რუსეთის ფედერაციასთან. მინდა ვთქვა, რომ მე ამას მივესალმებო, ჩვენც ვცდილობდით ამის გაკეთებას, მაგრამ ვერაფერს გაუხდით. მაგრამ ამისხეით, რა პრაგმატიზმზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როცა შენი ტერიტორიის ოკუპანტს აძლევ ოკუპაციის იურიდიულ დასაბუთებას. რა პრაგმატიზმზე შეიძლება იყოს საუბარი, როცა აძლევ საშუალებას, რომ მორალური უპირატესობა მიიღოს, რომელიც მას ფაქტიურად დაკარგული ჰქონდა“, - აღნიშნავს

ხოლმე პრეზიდენტისთვის სააკაშვილი. მისივე მტკიცებით, მსოფლიოში ბევრი მაგალითია იმისა, რომ სამხედრო ძალით შემოჭრილი ქვეყნის მთავრობა წინა მთავრობის გასამართლების მიზნით, რომელიც ოკუპანტებს წინააღმდეგობას უწევდა, ზეწოლას ახდენდა ადგილობრივ ახლადარჩეულ მთავრობაზე.

„გასაგებია, რომ წინა მთავრობა გაასამართლო დელატისთვის, გაქცევისთვის, ქვეყნის მიტოვებისთვის ან მოგონილი საბაბით სამხედრო დანაშაულისთვის, მაგრამ უყენებდნენ ბრალს წინა მთავრობას იმისთვის, რომ წინააღმდეგობა გაუწია მტერს და უკან არ დაიხია, ხელი არ მოაწერა კაპიტულანტურ შეთანხმებას, რომ არ მიატოვა დედაქალაქი, როგორც მოგვიწოდებდნენ და მიგვითხოვდნენ, ასეთი პრეცედენტი მსოფლიოში არ არსებობს. ახლა ჩვენ გვადანაშაულებენ, რომ არ მივეცით მათ საქართველოს სახელმწიფოებრიობის დანგრევის და სახელმწიფო დამოუკიდებლო-

ბით ნიველირების საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ გვგონია, რომ ჩვენს ქვეყანაზე მთავარ ატრიბუტებსა და პოზიციებს, - აღნიშნა სააკაშვილმა და იქვე დასძინა, რომ სააკაშვილის ხელისუფლების გასამართლების სურვილი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ჰქონდა. „ძალიან ნათლად თქვა რუსეთმა, რა უნდოდა 2008 წელს, ეს თქვა პუტინმა: ჩემი ფიზიკური განადგურება ან კიდევ უკეთესი, რაც არაერთხელ თქვეს რუსებმა, ჩემი და ჩემი მთავრობის გასამართლება. ეს არის ის, რასაც მსოფლიო ისტორიაში ალბათ პრეცედენტი არ აქვს!“, - განაცხადა სააკაშვილმა.

ალბათ მართლა არ ესმის, ან არ უნდა შეიგნოს სააკაშვილმა, რომ მას სამართლებრივად ედავება არა რუსეთის სახელმწიფო (სამწუხაროდ), არამედ პაავის საერთაშორისო ტრიბუნალი, ისეთი კონკრეტული დანაშაულებისათვის, როგორცაა მდინარე ქალაქ ცხინვალის დამოშობა, მშვიდობისმყოფელების დახ-

ოცვა, ლაფანყურის სასაკალო და სხვა, რაც კაცობრიობის წინაშე ჩადენილ მძიმე ცოდვად ითვლება. ამიტომაც სტანჯავს შიშის ელდა ლაჩარ სააკაშვილს და ადგილს ვერ პოულობს, თუმცა ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ამ არაადამიანის ადგილი ციხეშია!



თეთრი ხნული, შავი თხლი, თხლი მთხველს ეუბნება



მერაბიშვილი – ახალბაბას: – მიუხარბა მთხველს მთხველს, ფაილი ახლა და საბავშვო კომპლექსი...

დათა ახალბაბას სკანდალურმა წერილმა, **«ნაციონალურ მოძრაობაში»** დიდი არეულობა შეიტანა. ახალბაბა **«ნაციონალთა»** საპარლამენტო მარცხს ვანო მერაბიშვილს, მის შეცდომებს და ძალაუფლებისკენ უზომო ღტობას ახარალებს. კულის ყოფილი უფროსი მერაბიშვილს ასახელებს **«რეჟისორად»** იმ სკანდალური დანაშაულობების, რომლებმაც **«ნაციონალთებს»** 1 ოქტომბერს წირვა გამოუყვანა – ე. წ. ციხის კადრები და ლაფანურის სპეცოპერაცია. დათა ახალბაბა, ასევე, მერაბიშვილს ასახელებს იალოუჯას სამხედრო პოლიგონზე ჯარისკაცების წამების ინსპირატორად, რის გამოც ახლა მის ძმას, ბაჩო ახალბაბას, ასამართლებენ. **«დათა ახალბაბას უსტარო»** უკვე იქცა კვირის თემად. დიდი შანსია, პროცესები ისე წარმართოს, 19 აპრილს დაიწყო **«ნაციონალურ მოძრაობა»** აღარ გაიმართოს, თუ გაიმართება, უკეთეს შემთხვევაში, რუსთაველი მერაბიშვილის მომხრე-მოწინააღმდეგეთა საქმეების სახალხო გარეევის ადგილად იქცევა.

დაპირისპირება მერაბიშვილისა და ახალბაბის კლანს შორის დიდი ხნის დაწყებულია. საზოგადოება უკვე ინფორმირებულია ამ დაპირისპირების დატეხვის თაობაზე, ამიტომ მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რაც ხალხმა არ იცის, რისი მოტივაცია, **«ნაციონალთების»** შიდა წყაროებზე დაყრდნობით მოგახსენებ. მხოლოდ იმას დავამჩნევთ, რომ ეს ინფორმაცია თავად **«ნაციონალური მოძრაობის»** ცენტრალური ოფისიდან პარტიის იმ წევრებსა მიმართულია, რომლებიც ამ პარტიის დატოვებას შიდა დაპირისპირების გამო ისევედაც აპირებდნენ და 19 აპრილის თავყრილობაზეც დიდი ენთუზიაზმით წასვლას არ ფიქრობდნენ. ეს ადამიანები, რომელთაც პარტიაში სოლიდური წონა გააჩნიათ, 19 აპრილამდე აპირებდნენ პარტიის დატოვებას.

მერაბიშვილსა და ახალბაბის შორის დაპირისპირებამ კულმინაციას 11 აპრილს მიაღწია. სწორედ ამ დღეს შეხვდნენ **«ნაციონალთების»** ოფისში ვანო მერაბიშვილი და როლანდ ახალბაბა. უფროსმა ახალბაბამ გვარიაზად გამოლანდა მერაბიშვილი, უთხრა, რომ ყოფილი ხელისუფლების მთელი დანაშაულობებისთვის ჯერჯერობით მხოლოდ მისმა მხლებელმა აგვის პასუხი. «ერთი დაჯერილია და მერაბსაც

დაიჭერენ, მერე არც მე დამინდობენ, მომიხსნიან დეპუტატის იმუნიტეტს და შენ ისევ სუფთა პაერზე ივლი», – მიუხლია როლანდ ახალბაბას ვანო მერაბიშვილს.

მისთვის, ასევე, უთქვამს, რომ მისი შვილები სწორედ მერაბიშვილის დავალებების შესრულების გამო ისჯებოდნენ, ისიც შეუხსენებია, რომ ბაჩო ახალბაბა, თავის დროზე, სახალხო დამცველის მოადგილე იყო და სწორედ მერაბიშვილის თხოვნით გადავიდა ძალოვან უწყებაში სამუშაოდ. როლანდ ახალბაბა ისიც შეახსენა მერაბიშვილს, რომ სწორედ მისი და მისეულ სააკაშვილის თავდებობით ჩამოვიდა საქართველოში ძებნილი ბაჩო ახალბაბა. მათი დაპირებით, ბაჩო ახალბაბა არ უნდა ჩამჯდარიყო და თავდებობდა უნდა გაეთავისუფლებინათ, ახლა დანქარებული წესით უნდა წარემართათ მისი საქმის გამოძიება, სასამართლოც სასწრაფოდ მიუხჯიდა სასჯელს, შემდგომში კი პრეზიდენტი შეიწყალებდა. მიშამ და ვანომ კი ვერც ერთი პირობა ვერ შეასრულეს.

მაჰა-ახალბაბას საყვედურები კი მოისმინა მერაბიშვილმა, მაგრამ მოკლედ უპასუხა, – სულ ფეხებზე მკიდია შენი შვილები, პარტია მეავს გადასარჩენი და ამ საქმეს ვიღაც აუცილებლად შეეწირება, შესაძლოა, მალე მეც დამიჭირონო. რაც შეეხება დაპირებებს, მიშა რასაც მეუბნებოდა, მე მხოლოდ იმას გიმეორებდი, წადი ახლა და სააკაშვილმა გიშველოთო. საუბარი ცხარე კამათში გადაზრდილია, რაც იმით დასრულდებოდა, რომ მერაბიშვილს კაბინეტიდან გამოუგდია როლანდ ახალბაბა (დაცვას უბრძანა მისი გაყვანა).

ვანო მერაბიშვილმა, გარდა იმისა, რომ შეურაცხველი როლანდ ახალბაბა, საბოლოოდ აიღო ხელი ახალბაბის დახმარებაზე. დიდი შემწე და მათთვის მდგომარეობის შემამსუბუქებელი, რომც მონიდომოს, შესაძლოა, არც არის ძალაუფლება, კარგული მერაბიშვილი, მაგრამ მთავარია ფაქტი – მან ახალბაბის დასახმარებლად ჯერ ხელი არ გაანძრია, მერე კი დაპირისპირების განსამუხტველად არაფერი გააკეთა. მეტიც, როლანდ ახალბაბას შეურაცხველი მათ შორის არსებული უფსკრული უფრო გააღრმავა. როლანდ ახალბაბას და მერაბიშვილის ამ შესხვედრის, მათი ლაპარაკის შინაარსი ბაჩო ახალბაბა შეიტყო. სწორედ მან შეუთვალა ძმას, რომ მერაბიშვილმა ისინი საბოლოოდ გაწირა და მოქმედებისკენ მოუწოდა. დათა ახალბაბას პირველი ნაბიჯი ზემოხსენებული წერილის გამოქვეყნება იყო, თუმცა ეს დასაწყისია. ახალბაბის კლანის არქივში უამრავი კომპრომატი ინახება არა მხოლოდ **«ქართული ოცნების»** ლიდერებს, არამედ თავად **«ნაციონალთების»** თავკაცებსა და პრეზიდენტზეც კი. წყაროები ირწმუნებიან, რომ ახალბაბებმა გადაწყვიტეს, ვანო მერაბიშვილს და სხვა ბობოქარ **«ნაციონალთა»** ჩაძირვით თავად დალაგონ ურთიერთობა ივანიშვილის მთავრობასთან და, თუ აღრე მკვთას ქარდავს ხელით **«მეოცნებეების»** კომპრომატებიც აპირებდნენ, ახლა პირიქით –

თავის თანაგუნდელებს დაარტყამენ და მათ ისეთ კომპრომატებს დაუდებენ, საქართველოდან განსაკვეთად ექნებათ საქმე.

ვანო მერაბიშვილი როცა მთელ საქართველოს, მათ შორის, ოპოზიციასა და თავის თანაგუნდელებს უსმენდა, ფარულად იღებდა მათ უღირს ქმედებებს, ამას სწორედ ახალბაბისა და მათი ქვეშევრდომების ხელით აკეთებდა. მას შემდეგ, რაც **სოფლის** უფროსის პოსტიდან ვანო მერაბიშვილმა ვერკლე კოფეა მოხსნა, დათა ახალბაბა, ფაქტობრივად, ქვეყნის უშიშროების მინისტრად იქცა. ოფიციალურად **კჷმ**-ის თავმჯდომარე იყო და **სოფლ**-საც აკონტროლებდა. თავის მხრივ, ამ ორი დეპარტამენტის კურატორი, მერაბიშვილის მარჯვენა ხელი – ამირან მესხელი იყო, მაგრამ აღმინდა, რომ მესხელი დიდი ვერაფერი მაკონტროლებული ყოფილა. ახალბაბის ხელთ უამრავი კომპრომატი. წყაროს ინფორმაციით, ვანო მერაბიშვილმა მისეულ სააკაშვილის პირად დაცვაშიც კი შეაღწია და პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების საძირსა სექციულზე უამრავი კომპრომატი აკავს. მთელი ეს მასალა დათა ახალბაბის ხელში იყო დათა, რადგან ნებისმიერ სპეცოპერაციას **კჷმ**-ი და **სოფლის** ასორცილებდნენ. დათა ახალბაბა არჩევნებში **«ნაციონალთა»** მარცხის შემდეგ ქვეყნიდან გაიქცა და კომპრომატებიც თან წაიღო. ვიდრე მერაბიშვილი ახალბაბებს აიძებდა, რომ მათ უსაფრთხოებას დაიცვალა, ხოლო ძმებსა და მამას ციხეს აარიდებდა, მანამდე ახალბაბის საფრთხეს არ წარმოადგენდნენ, მაგრამ მერაბიშვილმა ახალბაბის პატრონობაზე აიღო ხელი და დათა ახალბაბაც მის მითითებით გააქტიურდა.

დათა ახალბაბის ხელთ აქვს ძალზე სერიოზული სექსუალური ხასიათის კომპრომატი **«ნაციონალური მოძრაობის»** პარტიულ და პოლიტიკურ ლიდერ ქალბატონებზე. მათ შორის, ერთ-ერთი ყოფილი პარლამენტარი ქალბატონისა და ვეროკაშვილის ოფიციალური წარმომადგენლის ავტორის ხასიათის წარმომადგენელი ადვოკატი ნინო ნანაჭერი. აღნიშნული ფარული ხანაჭერი, მერაბიშვილის ინიციატივით, სწორედ **კჷმ**-მა გადაიღო პოლიგონში, ვარშავის ერთ-ერთი სასტუმროში. მეორე სკანდალური ხანაჭერი სააკაშვილის ყოფილი მინისტრის (მაშაკაშვილის) და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლის გეორგიის ანასხვილი კადრები. ეს ხანაჭერი თბილისში, სასტუმრო **«ქოთოთარდ მერი-ოტში»** გაკეთდა. ამავე ქართველი მინისტრისა და სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი მდლენი ნინო (სატრანსპორტო სფერო) სექსუალური აქტივით ამავე სასტუმროშია გადაღებული. სხვათა შორის, ამ პიროვნების სექსუალური ორიენტაციის შესახებ სააკაშვილმაც იცოდა, როდესაც მისი კანდიდატურა მინისტრის პოსტზე წარუდგინეს. თავიდან წინააღმდეგი იყო, დაენიშნა, მაგრამ ვანო მერაბიშვილისა და გიგა ბოკერიას რჩევას დათანხმდა, თან უხუმრია – თუ ევროკავშირში შევდივართ, ერთი პედერასტი მინისტრი ჩვენც გვევადავს კაბინეტში, როგორმე ავიტანთო.

ამ ნამინისტრალის შესახებ ამასლა ვიტყვი – იგი 1 ოქტომბრის არჩევნების წინ უკვე აღარ იყო პოსტზე და, თავის დროზე, ეკონომიკური ბლოკის ერთ-ერთი სამინისტროს ხელმძღვანელი გახლდათ. მაგრამ ამით არ მთავრდება ყოფილი ხელისუფლების **«მამაკაცთა»** სექსუალური თავგადასახელები. დათა ახალბაბის ხელთ აქვს ერთ-ერთი მოქმედი **«ნაციონალი»** დეპუტატისა და ვეროპის **«სახალხო პარტიის»** ერთ-ერთი ვეროპარლამენტარის სექსუალური აქტის ხანაჭერი, რომელიც სტრასბურგის ერთ-ერთ სასტუმროშია გადაღებული. იმავე პარლამენტარისა და ვერმანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი გეო-თანამშრომლის სექს-აქტის ფარული ხანაჭერიც დათა ახალბაბას მრავალფეროვან არქივში ინახება. ეს ხანაჭერიც **«სტრასბურგულია»**.

გარდა ამისა, დათა ახალბაბის ხელთაა **«ნაციონალი»** დეპუტატების ოჯახის წევრების – ცოლების, დედების, ძმების, ძმლების, ქალიშვილების სექსუალური მათ შორის, ზოგიერთი მათგანის ლეხბოსური ურთიერთობები მეგობარ ქალბატონებთან. შემზარავია, რომ ვანო მერაბიშვილი ახალბაბის ხელთ საკუთარი მოადგილეებისა და შს სამინისტროს დეპარტამენტების უფროსების ოჯახის წევრებსაც უთავადავლებდა და მათ უსაკუთრებდა ფარულად იღებდა. ასევე, იმისეულად ახალბაბის მინისტრის, მინისტრის მოადგილის, ყველა დეპუტატის ტელეფონები და ცხადია, თუ რომელიმე მათგანზე საეჭვო ინფორმაციას ჩაიგდებდა მერაბიშვილი, დათა ახალბაბის მის კონტროლზე აყვანას ავალებდა. ხანგრძლივი ფარული თვალთვალისა და მოსმენების შემდეგ, საჭირო დროსა და ადგილას, სპეცსამსახურები ახერხებდნენ ობიექტის იმ სიტუაციაში გადაღებას, რომელიც მისი კომპრომატებისთვის გამოადგებოდათ. მერაბიშვილს სააკაშვილის პირად დაცვაშიც ჰყავდა აგენტები. როდესაც სააკაშვილი უცხოეთში რომელიმე სასტუმროში ჩერდებოდა, დაცვა საგანგებოდ ამოწმებდა საპრეზიდენტო მისიერს, რომ მოსახვედრებ ან ვანო მერაბიშვილი აპარატურა არ ყოფილიყო იქ. მათ ძებნაში კი მერაბიშვილის აგენტები, სადაც საჭიროდ თვლიდნენ, იქ ამონეაყვებდნენ ფარულად გადაღებებს. ეს **«დამონტაჟება»** ვინმეს ხანგრძლივი პროცესი არ ეგონოს. მაგალითად, კარადაზე შეიძლება დაავადო წამლის აბისხელა მოწყობილობა, რომელიც კარადის შეფერილობას თავისით მიიღებს და 24 საათიანი რეჟიმში იღებს იმ არეალს...

ვანო მერაბიშვილი იღებდა ყველა შესხვედრას, რომელიც თანაბრად იმ შესხვედრებს, რომლებზეც ბიზნესწილების გადანაწილებაზე იყო საუბარი. ასევე, შესხვედრებს, რომლებზეც კონკრეტული პოლიტიკოსები საკუთარი ახლობლების ბიზნესის ღობერებს, ახლობელ-ნათესავთა დასაქმებას და დანაშაულებებს გახვეული შინაურების წინააღმდეგედ აღმართული სისხლის სამართლის საქმეების შეწყვეტას

სთხოვდნენ მერაბიშვილს. არსებობს კიდევ მრავალი ტიპის ფარული ხანაჭერი **«ნაციონალ»** პოლიტიკოსებსა და ყოფილი ხინოეზიკებზე, რომელთა ერთი ნაწილის გამომხვეურება მათ ციხისკენ მიმავალ გზას გაუხსნის, მეორე ნაწილის გამოქვეყნება კი უამრავ უხერხულობას შეუქმნის. წყაროს ინფორმაციით, ამ ხანაჭერიში ფიგურირებენ კახა ბენდუქიძე, დავით კეკელია, მძები – გელა და დავით ბეჩუაშვილები, ზაზა გოგავა, გია ბარაბიძე, გიორგი მეღაძე, გოკა გაბაშვილი, გიგი უგულავა, მამუკა ახვლედიანი, ლაშა მაქაცარია, ზაზა გორხოია, გურამ მისაბიშვილი, მერაბ სამადაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, ზურაბ არსოშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, მარიკა ვერულაშვილი, ნუგზარ წიკლაური, პალიკო კუბლაშვილი, ხათუნა კალმახელიძე, გიორგი არველაძე, ანიკო გეგუნიანი, აკაკი ბობოხიძე, ბადრი ბაისიშვილი, დათო კორციქიძე, დევი ოვაშვილი, გონა ენუქიძე, გივი წერეთელი, გიორგი თევდორაძე, რამაზ ნიკოლეიშვილი, ანდრია ურუშაძე, კობა ხაბაზი, ლადო ვარძილაშვილი, პაპუნა დავითაია, ნიკა გილაური, ნიკა რურუა, ნუგზარ აბულაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი, თემურ გრიგალაშვილი, ზაზა გამცემლიძე, ლევან ბეჯუაშვილი, ნინო კალანდაძე, ვერა ქობალია, რატი სამყურაშვილი და კიდევ სხვა მრავალი **«ნაციონალი»**.

აღნიშნული ხანაჭერები ახლა დათა ახალბაბის ხელთაა. შეიძლება ითქვას, მას ის ბობი უჭირავს ხელთ, რომლითაც მთელი **«ნაციონალის»** ავტოქტა შეუძლია. თუ ეს გააკეთა დათა ახალბაბა, არ არის გამორიცხული, მართლად გადართნის თავი და ბაჩო ახალბაბაც გამოიყვანოს ციხიდან. **«ქართული ოცნების»** სოლიდურ ლიდერებს, ცხადია, უღირთ, მათ ხე არსებული კომპრომატების სანაცვლოდ, დათა ახალბაბამ **«ნაციონალების»** საბოლოოდ ჩაძიროს. დიდი შანსია, ახალი პილიტიკური გარიგების მოწვენი გავლადეო – ახალბაბები ციხეს გადაარჩენ და მერე ეს ყველაფერი პოლიტიკურ კოალიციად მოინათლება. ჩვენ წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორეზე ერთი ფაქტიც მეტყველებს: რამდენიმე დღის წინ ახალბაბის მარჯვენა ხელი, მეგობარ ქარდავა, **«ქართული ოცნების»** ლიდერებზე კომპრომატების გამოქვეყნებით იმუქრებოდა (აღნიშნული კომპრომატების არსებობა ბიძინა ივანიშვილმაც კი დაადასტურა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე), დღეს კი აცხადებს, რომ მას ხელისუფლების წევრებზე არანაირი კომპრომატი არ გააჩნია. ქარდავა ახალბაბის მითითებით მოქმედებს, მეტიც, ყველა სარწმუნო წყაროს თანახმად, დღესაც მეგობარ ქარდავა და დათა ახალბაბა ერთად იმყოფებიან. ლოგიკითაც ასე გამოდის, რომ ახალბაბები ახალ ხელისუფლებასთან ურთიერთობას ალაგებენ, ქარდავას პირით **«ქართულ ოცნებას»** აღარ ემუქრებიან და ახლა მათ განადგურებას ემუშეობენ, ვინც ისინი გაწირა – ვანო მერაბიშვილისა და მშობლიური **«ნაციონალური მოძრაობისა»**.

ლევან ჯავახიშვილი

ნაციონალთა კანაშვილი შედგა!

ნაციონალთა ნარჩენები 19 აპრილს შეიკრიბნენ თბილისში, ყოფილი (მათთვის) პარლამენტის შენობის წინ და ჩვეული ომახითა და ყალბი პათოსით ჩაატარეს არაფრისმთქმელი მიტინგი. ეს გახლდათ ხმა სამართლიან – უხუნობის ზეობა, უტიფართა ურცხვი დაპირებები, კახების მტკიცება პაციოსუნებაზე. ერთადერთი დასახსომებელი იყო ვიღაც გამეფების პროტესტი, რომელმაც ცოცხი შეაგლო ნაციონალთების ტრიბუნაზე, როგორც მათი ცხრაწლიანი მოღვაწეობის სიმბოლო! დასახსომებელი იყო ისიც, რომ ნაციონალთა სახელი გადაირქვეს, მაგრამ როგორაც არ უნდა შეუცვალოს სახელი მკვდარს, იგი მაინც მკვდარია! ათი თასზე ბევრად ნაკლები ადამიანი მისულა ნაცთა «პანაშიდზე», თავის დამკვირვებელ-პოლიციულ-ურუნალისტებიანად. ამდენი ადამიანი კი, სამეგრელოსში, საშუალო ოჯახს ჭირში მიუსამიძებრეს ხოლმე. თანაც, ხუთმილიონიან ერს ამდენი ჭკუანაკლული და ანგარებიანი არსება რომ ჰყავდეს, არც ეს არის თავისი საცემი... ასე რომ, ნაციონალთა პანაშიდში შედგა! ახლა, მთავარია დროზე დასამარდეს გვაძი, რათა იგი არ გაიხრწნას და ინფექციური დაავადებები არ გაავრცელოს!

სპორტული კუთხე მიჰყავს შურნაღისტ ბიორბი ჯალაღანის უოთ არველაძე: ფრანგებთან ჩვენი ფეხბურთელების სითამამე დაზინახე



ამ გაზაფხულზე თბილისში ჩატარებულ უეფას ფუტსალის თასის ოთხთა ფინალის კენჭისყრას ტყუპი ძმები, შოთა და არჩილ არველაძეები უძღვებოდნენ. საქართველოს ჩემპიონი "იბერია" უეფას თასის წინა გათამაშების ფინალისტს, მოსკოვის "დინამოს" დაუწვევდა, აღმატის "ყაირატი" - "ბარსელონას".

თურქეთის სუპერლიგის "ქასიმფაშას" მთავარ მწვრთნელს, შოთა არველაძეს ფუტსალის კენჭისყრაზე და ცხადია, "კლასიკურ" ფეხბურთზეც გავესაუბროთ.

თუმცა წოდისყრის შედეგებით შოთა ოღნაგ გულდაწყვეტილი იყო:

- "ბარსელონას" რომ შევხვედროდით, სასწაული თამაში იქნებოდა. კატალონიელების წარმომადგენელმა ტყუილად არ თქვა, "ბარსელონა" ყველგან ერთ ფილოსოფიას მისდევს. ფუტსალშიც მაგარი გუნდი ჰყავთ და ქართველი გულშემოტიკარი ულამაზეს თამაშს იხილავდა.

მაგრამ მოსკოვის "დინამოც" სერიოზული გუნდია. მიმანია, რომ ოთხთა ფინალზე ქართველი მაყურებელი არ მოიწყენს და სპორტის სასახლეში ანშლაგი იქნება.

საერთოდ, ფუტსალი მინი-ფეხბურთის "ბიბაშვილია" და ბავშვობიდან მაგრად მიყვარდა. გახსოვთ, წლების წინ სპორტის

სასახლეში რა მაგარი ტურნირები ტარდებოდა? "მრეტები", "საბურთალო", "ვერა", "გაკე", "დიდუბე", "რუსთავი" - ძალიან კარგი გუნდები იყო.

გუშინდელივით მახსოვს აკა ქავთარაძის, ნიკოშა დოლიძის, ბუბა ტყავაძის, ზაზა გომარტელის, ზაზა ბოკერიას, დათო სოლოღაშვილის თამაშები, შეხვედრასაც არ ვაცდენდი. "მრეტები" საბჭოთა კავშირში პირველი პროფესიონალური კლუბი იყო, სადაც ვაჟა ჩხაიძე ხელფასებს იხდიდა.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ამ სახეობას საქართველოში ძალიან დიდი პერსპექტივა აქვს. ფუტსალი ჩვენს გენშია, საქართველოში სწორედ რომ ფუტსალის ნიჭის მქონე ბავშვები იზრდებიან.

- როგორც ვიცი, შენ და აჩიკოც ხშირად თამაშობდით...

- თანაც, ყოველდღე! მაშინ ხალხი დაცინვით "მინიფეხბურთელებს" გვძახდა. "დინამოში" ჩემზე, აჩიკოზე, რეზისა და გიორგი ქინქლაძეზე იცინოდნენ, "კოლოპერტივი" გახსნეს, მხოლოდ ერთმანეთს აძლევენ პასებს. მე კი დარწმუნებული ვარ, ვინც "მინის" თამაშობს, ის დიდ ფეხბურთშიც მაგარი იქნება.

- მართალია, რომ ბევრი ნიძლავეც მოგივათ?

- ვერ ვიტყვი, ოჯახს ვინახავდით-მეთქი, მაგრამ გიორგი, აჩი და მე "მაზინებზე" ხშირად ვთამაშობდით და თითქმის ყველას ვამარცხებდით. ერთხელ 60 კილო მარწვევი მოვიგეთ და ხილიანზე მეზობელი კორპუსებიდან ბავშვები "ტაშტებით" ჩამოდიოდნენ. მე და აჩიკო ვეხუმრებოდით, ნაყინი მაინც მოაყოლებო.

- ახლა თქვენს გუნდზეც ვილაპარაკოთ. "ქასიმფაშა" "კასიერზე" უფრო ამბიციური გუნდი ჩანს...

- "კასიერიც" ამბიციური იყო, მაგრამ დიდი ფინანსური შესაძლებლობები არ ჰქონდა და სპონსორზე იყო დამოკიდებული. თურქეთში აბსოლუტურად ყველა სხვა კლუბი სააქციო საზოგადოებაა და

მათ დირექტორთა საბჭო განაგებს.

"ქასიმფაშა" კი, ამ ქვეყნის ისტორიაში პირველად, მილიარდერმა თურგაი ცინერმა შეიძინა და კლუბი პირადად მისი საკუთრებაა. ძალიან წარმატებული ბიზნესმენია, 70 კომპანიას ფლობს და თავის სფეროში ლიდერია; არის ტელევიზიის დამფუძნებელი, ინტერესები აქვს ენერგეტიკაშიც. ამბიციური პიროვნებაა და მაქსიმალურ შედეგებს გვთხოვს.

- ალბათ, მიზნად ჩემპიონთა ლიგაში გასვლა დაგისახა...

- სურს და საამისოდ უკან ფულზეც არ დაიხვეს. ამის შესახებ ვილაპარაკოთ. სხვათა შორის, ძალიან გონიერი და ადეკვატური ადამიანია და მისი მოსაზრებები მომეწონა. ის კი არ უნდა, რომ დღეს გუნდში მოვიდა, 200 მილიონი დახარჯოს და ხვალ ჩემპიონთა თასი მოიგოს. ასეთი "ქაჯური" აზროვნება არ ახასიათებს. მისი სურვილია, თითოეული ნაბიჯი საფუძველით განამტკიცოს და გუნდმა განვითარების ეტაპები ნაბიჯ-ნაბიჯ გაიაროს. მისთვის ფეხბურთიც ბიზნესია და კარგად ხვდება, რომ უცებ პირველობა და წინსვლა შეუძლებელია. გარკვეული დრო და გზის გაგება ყველა საქმეში საჭიროა.

ცინერის ამბიციის ჩემთვისაც აბსოლუტურად მისაღებია და მისი მიდგომაც ძალიან მომწონს, ამბიციებისა და რეალობის შეუსაბამობა კი გუნდში ყოველთვის არა-ჯანსაღ ატმოსფეროს ქმნის. ახლა კი ჩვენ გვაქვს საშუალება, მშვენივრად გარემოში ვიმუშაოთ, დღევანდელი ამოცანებზე გადავწყვიტოთ და ხვალინდელ მიზნებზეც ვიფიქროთ.

- "ქასიმფაშაში" რომელიმე ქართველის წაყვანას ხომ არ აპირებ?

- თუ რომელიმე პოზიციაზე მითამაშე დამჭირდება და ასეთ ქართველს შევარჩევ, რატომაც არა. ჯერ კი ასეთი საჭიროების წინაშე არ დავდგარვარ.

- საქართველოს საფეხბურთო ნაკრების უკანასკნელ შეხვედრაზეც უნდა შეგვეკითხოთ - ფრანგების ნაკრებთან

მატჩში როგორი შთაბეჭდილება დაგჩან?

- მატჩამდე რომ მკითხეს, გუნდისგან რას მოვითხოვდი, მეტ სითამამეს-მეთქი. ფეხბურთელები სულ ბურთს უნდა ითხოვდნენ და სულ ბურთის ფლობის სურვილი უნდა ჰქონდეთ. ეს ლაკმუსის ქაღალდივითაა, თორემ პარიზში ფრანგებთან უეჭველ მოგებას საქართველოს ნაკრებს ვინ მოსთხოვდა?

ჩემს დროს საქართველოს ნაკრებში უკან ჩასვლაზე იყო სულ ჩხუბი, ყველას შეტევაში წასვლა და გატანა სურდა; სამარცხვინოდ ითვლებოდა, ბურთს ვინმე თუ "დაემალებოდა". ფრანგებთან ეს მეტი სითამამე დაზინახე.

მართალია, ისეთი "სითაგხედუ" ვერ გამოავლინეს ყვინამ და ანანიძემ, როგორცაც მე და ჩვენი გულშემოტიკარი ვისურვებდით. მათ მეტი შეუძლიათ, მაგრამ იაქტიურებს კობახიძემ, ვაჭაძემ, თარგამაძემ ბევრს ცდილობდა.

სამწუხაროა, ოქრიაშვილი რომ დაგვაკლდა, მას საფეხბურთო "სითაგხედუ" მომადლებოდა აქვს.

- საერთოდ, ინიციატივიანობა და სითამამე ამ თაობის მოთამაშეებს მაინც აკლიათ. ბევრი ფიქრობს, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში ქვეყანაში მიმდინარე პროცესები და მისგან გამომდინარე წაგებული ფსიქოლოგია ჩვენი მოთამაშეების ცნობიერებაზეც აისახება...

- ალბათ, ასეც არის. როდესაც ქვეყანას უჭირს და ომებში სულ მარცხდება, ვიღაცას უჭირს, ვიღაცას მშვიდად არ სძინავს, ვიღაც კიდევ მოედანზეც ოჯახურ თუ ფინანსურ პრობლემებზე ფიქრობს და შეუძლებელია, ეს მის ხალხზე და ეროვნული გუნდის თამაშებზე არ აისახოს. თუმცა, ვიმეორებ, პარიზში შემინებული გუნდი ნაღდად არ გვეყოლია, შეტევების მცდელობები იყო და ახლა თუ არაფერი გამოგვივიდა, ამ სულისკვეთებით მთავალში მეტის იმედი უნდა გვქონდეს.

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია - XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საბამოცემო ჯგუფი
ბერია
XXI საუკუნის
საუკეთესო მენეჯერი
საბამოცემო ჯგუფი

თეა წულუკიანს პრეზიდენტის დაკავშირებას და ჰაბის სასამართლოსთვის გადაცემას სთხოვენ



საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს წერილით მიმართა სამართლის დოქტორმა, პროფესორმა ბიძინა სავანელმა, რომელიც თავის მიმართვაში ბრალს სდებს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ქვეყნის დღევანდელ რუსეთთან, თურქეთთან და სხვა ქვეყნებთან ფარულ, ქვეყნისათვის ეკონომიკურად და მორალურად არახელსაყრელ შეთანხმებებში გამოიხატება.

ივლი სააკაშვილმა რუსულ კერძო კომპანიებს მიჰყიდა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ადადგინა და მას საეჭვო პირები ჩაუყენა სათავეში, თავიდან შექმნილ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკას ახალგორის რაიონი მიუერთა. იგივე ქმედება ჩაიდინა, როცა კოდორის ხეობაში სვანები განაიარაღა და შემდეგ, რუსეთთან პროვოკაციული ომის წამოწყების მიზეზით, კოდორი აფხაზეთს შეუერთა. აღნიშნავს წერილში პროფესორი სავანელი.

ბამოვიდა

"აია"-ს 2013 წლის პირველი ნომერი. მთავარი რედაქტორი ბიორბი სიჭინავა. შურნაღი შეგიძლიათ შეიძინოთ ზუგდიდში (რუსთაველის ქ. №68), სენაპში, ჟალენჯიხაში, ჩხოროფშუში, ჩხოროფშუში და აბაშაში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" წარმომადგენლებთან. თბილისში - ტაშკენტის ქ. №25, პირველი საღარბაზო, ბინა, 1. ფასი 4 ლარი

ISSN 1987-8966 ilori
რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარამ. №01018002930 234-32-95
მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მისილი ნოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: თამაზ ძორიძე, ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შალია, ბივი სომხიშვილი, დავით ქობალია, ბიორბი სიჭინავა, ნუზარ სალამია (გალი)
გახეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge